

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის  
სახელობის უნივერსიტეტი

ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი



თამარ ვერძაძე

საბანკო სისტემის მდგრადობა გლობალური პანდემიის  
პირობებში

ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის  
მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ლ. ბერიძე,  
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

## ანოტაცია

კომერციული ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ბანკები უზრუნველყოფენ კავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის და იმყოფებიან ეკონომიკის „შუაგულში“. მოზიდული სახსრებით, ანუ დეპოზიტების საშუალებით ანაწილებენ თანხებს მსესხებლებზე და გასცემენ კრედიტის სახით. კომერციული ბანკები არეგულირებენ ფულის მასას მიმოქცევაში და საბოლოოდ, ხელს უწყობენ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას.

კომერციული ბანკების საქმიანობას არეგულირებს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების საშუალებით და ბაზელ III - ის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით აკონტროლებს მათ და ქმნის ქვეყანაში ჯანსაღ საფინანსო სისტემას.

ნაშრომის მიზანია, განსაზღვროს საბანკო სისტემის მდგრადობა გლობალური პანდემიის პირობებში. თუ რა წინააღმდეგობების დაძლევა მოუხდა კომერციულ ბანკს პანდემიის დასაძლევად და სესხების გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ასევე გამოვკითხეთ ტურისტული სეგმენტის მომუშავეები, რათა დაგვედგინა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და მათი გადახდისუნარიანობა. გამოვთვალეთ თუ როგორ უძვირდება მსესხებელს სესხი, რესტრუქტურიზაციის დროს. ასევე გამოვთვალეთ ბაზრის კონცენტრაცია ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი. რის მიხედვითაც დავადგინეთ, რომ საქართველოში საბანკო ბაზარი მაღალკონცენტრირებადია. შევადარეთ ერთმანეთს ოთხი კომერციული ბანკი.

## **Annotation**

Commercial banks are an integral part of the modern economy and society. Banks provide connections between economic entities and are in the "middle" of the economy. With the attracted funds, ie through deposits, the funds are distributed to the borrowers and issued in the form of loans. Commercial banks regulate the money supply and, ultimately, promote the growth of the country's gross domestic product.

The activities of commercial banks are regulated by the National Bank through monetary policy instruments and recommendations developed by Basel III. Controls them and creates a healthy financial system in the country.

The aim of the paper is to determine the resilience of the banking system in the face of a global pandemic. What obstacles the commercial bank had to overcome in order to overcome the pandemic and maintain the solvency of the loans. We also interviewed the employees of the tourism segment to find out the current situation in the country and their solvency. Calculate how expensive the loan is for the borrower during the restructuring. We also calculated the market concentration by the Herfindahl-Hirschman index. According to which we have established that the banking market in Georgia is highly concentrated. We compared four commercial banks.

## სარჩევი

<b>თავი I - საბანკო საქმიანობის არსი და მნიშვნელობა .....</b>	<b>6</b>
1.1 საბანკო საქმიანობის წარმოშობის საფუძვლები.....	6
1.2 საბანკო საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება.....	17
<b>თავი II- საბანკო სისტემის მდგრადობა კრიზისების დროს.....</b>	<b>27</b>
2.1 საბანკო სექტორის მდგრადობის შეფასების მსოფლიო სტანდარტები.....	27
2.2 ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლი საბანკო სისტემის მდგრადობაში .....	34
<b>თავი III - საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობა Covid-19 პანდემიის პირობებში.....</b>	<b>42</b>
3.1 საქართველოს კომერციული ბანკების ფინანსური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი პანდემიის ფონზე და კონცენტრაციის დონე.....	42
3.2 Covid-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევისათვის მიღებული შედეგები საბანკო სექტორში (პრაქტიკული შედეგები).....	50
დასკვნა.....	57
გამოყენებული ლიტერატურა.....	60

## შესავალი

საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს, ვინაიდან იგი არის შუამავალი კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. საბანკო სექტორის განვითარების პარალელურად ვითარდება ქვეყანაში ეკონომიკა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია საბანკო სექტორის მდგრადობა და სტაბილურობა კრიზისული სიტუაციის დროსაც. ამ ყველაფრის შესანარჩუნებლად საჭირო გახდა მეცნიერული კვლევები, რათა სწორი რეგულაციებითა და ქმედებებით შეძლოს საბანკო სექტორმა გაუმკვლავდეს ყველაზე რთულ კრიზისსაც კი. ქვეყანაში ასებული ყველა კომერციული ბანკი არის ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ, სწორედ ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციაა ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ნაშრომის მიზანია შეაფასოს საბანკო სექტორის მდგრადობა XXI- საუკუნის გლობალური პანდემიის COVID 19-ის პირობებში.

ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს საბაზრო კონცენტრაციის დადგენა და დინამიკაში კომერციული ბანკის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, პანდემიამდე და პანდემიის შემდგომი მდგომარეობა კომერციულ ბანკებში.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოში არსებული ოთხი კომერციული ბანკის 2019 და 2020 წლის მონაცემები ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით: კაპიტალის მოცულობა, მოგება, აქტივების ხარისხი, ლიკვიდობა. ასევე გამოვთვალეთ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი, რაც გულისხმობს ბაზრის კონცენტრაციის დადგენას. გამოვკითხეთ ქობულეთის სასტუმროების მეპატრონეები, რათა დაგვედგინა პანდემიის გავლენა ტურიზმზე და გამოვთვალეთ თუ როგორ გაუმჯობესდა სესხები რესტრუქტურის შერევა.

ნაშრომში გამოყენებულია ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, წიგნები და სტატიები.

# თავი I - საბანკო საქმიანობის არსი და მნიშვნელობა

## 1.1 საბანკო საქმიანობის წარმოშობის საფუძვლები

ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ბანკები უზრუნველყოფენ კავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის და იმყოფებიან ეკონომიკის „შუაგულში“. მათ საქმიანობის სფეროს არ გააჩნია კონკრეტული ეკონომიკური ადგილმდებარეობა. ბანკები - ესაა ყოვლისმომცველი მოვლენა, ფინანსური ძალა და უმნიშვნელოვანესი რესურსები. სწორედ ბანკებია ის ინსტიტუტი, სადაც ხდება რესურსების გადანაწილება, მაგალითად: იმ სუბიექტს, ვისაც ზედმეტი თავისუფალი ფული აქვს დროებით, გადანაწილდება იმ სუბიექტისთვის ვისაც მოცემულ მომენტში ეს ფული ესაჭიროება.

ბანკების წარმოშობაზე ზუსტი ინფორმაცია, პირველ საბანკო ოპერაციაზე ან მის შექმნაზე ისტორიაში არ არის, თუმცა ძველ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ მსოფლიოს ვაჭრები, რომლებიც ფულის ექვივალენტის ნაცვლად იყენებდნენ შინაურ ცხოველებს, ქურქს, სალს, მარცვლეულს, ნიჟარებს, და ა.შ. ანუ ყველა საყოფაცხოვრებო ნივთს. მეცნიერთა მოსაზრებები ბანკების წარმოშობაზე მერყეობს რამოდენიმე ათასწლეულის დიაპაზონში, მთავარი მიზეზი კი სხვადასხვა შეხედულებაა ბანკების ფუნქციებისა. იმისათვის რომ საკრედიტო ინსტიტუტს და ურთიერთობის მექანიზმს ეწოდოს ბანკი, რამდენი ფუნქციის შესრულებაა საკმარისი. რთულია კონკრეტული თარიღებით საუბარი, როდესაც ისტორიაში არ არის შემონახული, ამიტომ უმჯობესია გამოვეყნოთ საბანკო პრაქტიკის, განვითარების 5 ეტაპი:

- 1) საბანკო პრაქტიკის სათავეები, ანუ საბანკო პრაქტიკის ჩასახვიდან ანტიკურ პერიოდამდე;
- 2) ანტიკური ხანიდან XII საუკუნემდე (საბანკო დაწესებულების შექმნამდე)
- 3) XIII – XVII საუკუნეები, საზოგადოებრივი ბანკების ხანა ანუ ჟირო- - ბანკების ხანა;

- 4) XVIII საუკუნე, მსოფლიოს დაპყრობა ბანკების მიერ;
- 5) XIX დაუკუნიდან დღემდე, თანამედროვე ბანკინგი;<sup>1</sup>

### **პირველი ეტაპი: საბანკო პრაქტიკის ჩასახვიდან ანტიკურ პერიოდამდე**

უძველესი ხანიდან, რაც გაჩნდა საზოგადოებრივი მოთხოვნები, ადამიანები დაკავდნენ საშუაშაველო საქმიანობით. ჯერ კიდევ ძვ.წთ.აღ-ით VI ს-ში იბერიასა და კოლხეთის სამეფოში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა, გაჩნდა ზარაფებისა (ფულით მოვაჭრეები) და მევახშეობის ინსტიტუტების სახით, სხვადასხვა ფულად-საკრედიტო დაწესებულებები. რომლებიც წარმოადგენენ დღევანდელ საბანკო სისტემას. მევახშეებისა და ზარაფების მიერ გატარებულ ფულად-საკრედიტო ოპერაციებს ორტალი ეწოდებოდა, კრედიტებს გასცემდნენ უგირავნოდ ან სხვადასხვა ქონების გირავნობის ქვეშ. რთულია დავადგინოთ სად მოღვაწეობდა „პირველი ბანკირი“ და ვინ იყო ის, თუმცა ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ ქალდეველებთან არსებობდა სავაჭრო ამხანაგობები, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2300 წლის წინ. ასევე ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლის წინ ჩინეთში არსებობდა საჩეკო მიმოქცევა.

სესხებს აძლევდნენ ფერმერებსა და ვაჭრებს, რომლებიც საქონელს ქალაქებს შორის ატარებდნენ. ეს იყო დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წელს ასურეთში, ინდოეთსა და შუმერიაში. მოგვიანებით, ძველ საბერძნეთში და რომის იმპერიის დროს, ტაძრებში მყოფი კრედიტორები გასცემდნენ სესხებს, დეპოზიტების მიღებისას და ფულის შეცვლისას. ფულის სესხის აღების ფაქტს ასევე გვიჩვენებს ძველი ჩინეთისა და ინდოეთის ამ პერიოდის არქეოლოგია. საკრედიტო ურთიერთობების საფუძვლები უძველეს ცივილიზაციაში მევახშეობა იყო და სასესხო ოპერაციებიც იურიდიული ნორმების განსაკუთრებული დაცვით ხორციელდებოდა. სავალო ვალდებულების ხარისხიც ძალიან მაღალი იყო, გამომდინარე იქედან, რომ სესხის პირობები იყო ძალიან მკაცრი. XVIII საუკუნის მეფე ჰამურაბის კანონები ამ რეგულაციის ნორმების კარგი მაგალითია.

---

<sup>1</sup> გოგი კონტრიძე, ირაკლი კოვზანაძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, 2014 წელი, თავი I, გვ 14-22

ძველი ბაზილონელები საბანკო პრაქტიკაში ყველაზე წინ წავიდნენ უძველესი ცივილიზაციიდან. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში არსებობდნენ „ბანკირები“, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა საბანკო ოპერაციები ჩატარებული. საბანკო სახლი „იგიბი“ იმ პერიოდის ბაზილონში წარმატებულად ითვლებოდა. იგი გასცემდა სესხებს, მოწეული მოსავლის ნაწილის დათმობის სანაცვლოდ, ხოლო პროცენტის გადახდა არ ხდებოდა. სესხები ასევე გირაოს სანაცვლოდ გაიცემოდა და ხელწერილის სანაცვლოდაც. იგიბი არა მარტო სესხებს გასცემდნენ, არამდე ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ოპერაციებსაც ასრულებდნენ, ყიდულობდნენ და ყიდდენ მიწის ნაკვეთებს, ახორციელებდნენ გადახდებს კლიენტის ანგარიშიდან. ბანკირები კონსულტაციას უწევდნენ კლიენტებს და აწარმოებდნენ სატრასტო ოპერაციებს. ასევე ბაზილონში ხდებოდა პროცენტის ანაზღაურების მიღება, რაც ყველაზე საინტერესოა იმ დროისთვის.

იმ პერიოდში შედარებით ნაკლები იყო სავაჭრო სახლების როლი, უმნიშვნელოვანესი იყო საკულტო ნაგებობები, ტაძრები, როგორც ფინანსური ორგანიზაცია სადაც ინახავდნენ ქონებას, და ზოგადად ფულს ინახავდნენ, ხოლო ფინანსისტებად ქურუმები იქცნენ. ტაძრების მიმართ ნდობა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა მოსახლეობასა თუ სახელმწიფოში. სწორედ ნდობამ და სტაბილურობამ განაპირობა ტაძრებში ფულადი ოპერაციების განვითარებამ. ტაძრებში ფულადი ბრუნვის მოთხოვნის მატებასთან ერთად დაიწყეს სრული საბანკო მომსახურების განხორციელება: საკრედიტო, სააღრიცხვო, საშემნახველო, საკასო, გაცვლითი და საანგარიშგებო. სახელმწიფო ხშირად მსესხებლის როლში გამოდიოდა, ეს ყოველივე ამასთანავე სადაზღვეო ფუნქციასაც ატარებდა. სახელმწიფო განსაკუთრებულად ხელს უწყობდა ფინანსური ინსტიტუტის განვითარებას.

ძველი ბერძნებიც საკმაოდ წინ წავიდნენ ამ მიმართულებით. თანდათან ბერძნულმა ტაძრებმა მათ ხელში მიღებული შემოსავლებით, მაღალი კრედიტებით გაცემული სესხებით რომელიც უფრო მევახშეობას გავდა, ვიდრე საბანკო დაკრედიტებას, შემოწირულობით უამრავი ქონება დააგროვეს. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი ვერ გადაიხდიდა ხელშეკრულებით გაწერილი პირობით სესხის თანხას, მესაკუთრის საკუთრებაში არსებული მიწა გადადიოდა ტაძრის საკუთრებაში. გარდა



ამისა ანაბრების სისტემაც (საშემნახველო საქმე) ქონდათ განსხვავებული, ვინაიდან კლიენტის თანხა დაცული იყო და უსაფრთხოების გარანტიას აძლევდნენ, ამისათვის ტაძრები გარკვეულ თანხას იღებდნენ.

იმდენად პოპულარული და თვალსაჩინო გახდა საბანკო საქმე, რომ საქმიანი ადამიანების ყურადღებაც მიიპყრო, დაინტერესებული ადამიანების ყურადღება კი დღითი დღე მნიშვნელოვნად იზრდებოდა. „ტრაპეზიტების“ - პირველი ათენელი ბანკირების საქმიანობა საკმაოდ პრიმიტიული იყო. მათი ძირითადი მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის მონეტების გადაცვლა, ხალხმრავალ ადგილს არჩევდნენ, სადაც განსაკუთრებულ მაგიდასთან იხდნენ. თუმცა ეტაპობრივად სხვადასხვა ოპერაციების განხორციელებაც დაიწყეს და ოპერაციების რაოდენობაც იზრდებოდა. ისინი ახორციელებდნენ ანაბრების მიღებას, სესხების გაცემას, საშემნახველო საქმეს. ყველა ოპერაცია აღირიცხებოდა სავაჭრო წიგნში. ამ პროცესების განვითარება და ახალ საფეხურზე გადასვლა შეიძლება ჩავთვალოთ ქალაქ ალექსანდრიაში მაკედონელის მიერ ცენტრალური ბანკის მსგავსი ინსტიტუტის შექმნა. ბერძნები მართავდნენ „სამეფო ბანკებს“, რაც მჭიდროდ იყო კავშირში სახელმწიფო ხაზინასთან. ფუნქციონირებდა ყველა ადმინისტრაციულ ცენტრში. საბანკო ქსელს ქონდა მონოპოლია და სარგებლობდა ქვეყანაში არსებული ყველა საბანკო ოპერაციების უფლებით. რის გამოც სახელმწიფო ხაზინის ყველა ფუნქციასაც ასრულებდა. ტრაპეზიტების არსებობას სახელმწიფოებრივი და საკაცობრიო მნიშვნელობა ჰქონდა, იგი პირდაპირ კავშირში იყო ვაჭრობასთან.

რომში საბანკო საქმე ჩამოყალიბდა ბერძნულის მსგავსად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში. რომში ბანკირებს „მენსარიებს“ უწოდებდნენ. ხმაურიან ადგილებზე - ფორუმებსა და ქალაქის მთავარ მოედნებზე მაგიდები იდგა. გარდა საბანკო ოპერაციებისა ბანკირები ახორციელებდნენ აუქციონების ჩატარებას, რა დროსაც იყიდებოდა როგორც საკუთარი, ასევე ბანკების მიერ დაკავებული ქონებები საკომისიოს სანაცვლოდ.

ზარაფები, მენსარები და ტრაპეზიტებიც დაკავებულები იყვნენ ძირითადად მონეტების გაცვლით. ისინი შეიძლება ბანკირების წინაპრად ჩაითვალოს თუმცა პირველ ეტაპზე დაკავებული იყვნენ მხოლოდ საქონლის გაცვლით და საკრედიტო

ხასიათი ჯერ არ ქონდა. ხოლო საშემნახველო ოპერაციები უფრო დაახლოებული იყო საკრედიტო დაწესებულების შინაარსთან და არსსთან.

იმდროინდელი სამყაროს ფინანსურ ცენტრად იქცა რომი, შესაბამისად დაიხვეწა საბანკო სისტემასთან ერთად სამართლებრივი რეგულირებაც. იქნებოდა და იხვეწებოდა საკრედიტო სამართალი. რომაული ბანკები იწოდებოდნენ „ნუმულიარებად“ რომლებიც ახორციელებდნენ ფულის გაცვლას, ასევე მათ უფლება ქონდათ საკრედიტო ოპერაციები ეწარმოებიათ. „არენტარიებმა“ მიიღეს უფლება თავიანთ კლენტებზე მიეცათ სესხი გადახდების შუამავლობის საფუძველზე.

### **მეორე ეტაპი: ანტიკური ხანიდან პირველი საბანკო დაწესებულების შექმნამდე**

სიტყვა „ბანკი“ – banco იტალიური სიტყვისგან წარმოიშვა და აღნიშნავს მაგიდას. იმ დროისთვის სავაჭროდ მონეტების მეტად მრავალფეროვან სახეობებს გამოიყენებდნენ, მონეტების ბეჭდვის ერთიანი სისტემა არ არსებობდა, მის მოჭრას (ემისიას) კი ახორციელებდნენ ცალკეული სახელმწიფოები, ქალაქები და კერძო პირებიც. მონეტების რეალური ღირებულება ნომინალზე დაბალი იყო. გამომდინარე იქედან, რომ იტალია X-XI საუკუნეებში ვაჭრობის ცენტრი იყო, აუცილებელი გახდა ბანკირები სავაჭრო ოპერაციების მონაწილეები გამხდარიყვნენ, ამასთანავე ისინი კარგად უნდა ერკვეოდნენ მონეტების მრავალფეროვნებაში და უნდა შესძლებოდათ მათი შეფასება. მომხმარებლები ბანკირებს ნამდვილად არ აკლდათ და მათი მაგიდები განთავსებული იყო სავაჭრო ადგილებში.

დასავლეთ ევროპა, აღნიშნულ მომენტში ნაღდი ფულის მწვავე დეფიციტს განიცდიდა. ლითონური ფული უფრო ადრე გამოჩნა ვაჭრობაში. ახალი მონეტების დაბეჭდვა რთული იყო ლითონის მოპოვების გამო, ხოლო უკვე არსებული მონეტები საგარეო ვაჭრობაში იყო ჩადებული და ვაჭრების ხელში მოიყარა თავი. გარდა ამისა საგარეო ვაჭრობის ტემპი ძალიან ნელი და რისკიანი იყო. შიდა ვაჭრობისთვის ფულის მიზერული რაოდენობა რჩებოდა თუმცა მასზე მოთხოვნა კი პირიქით იზრდებოდა. მოთხოვნის მატება კი მონეტას ღირებულებას უზრდიდა რამაც მევახშეები ააყვავა. ვაჭრები, რომლებიც დიდ ფულს აგროვებდნენ საგარეო ვაჭრობით, შემდგომ მევახშეობას იწყებდნენ და აღმოაჩინეს, რომ სწორედ მევახშეობით ბევრად მეტი

შემოსავლის მიღება შეეძლოთ. ევროპაში და ზოგიერთ ქალაქში დაიწყეს უნაღდო ანგარიშსწორების პრაქტიკა ანუ მარტივი სათამაშუქო ოპერაციები, წერილის საფუძველზე გადასცემდა მესამე პირი წერილში მითითებულ თანხას.

საბანკო პრაქტიკა იტალიაში საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა, განსაკუთრებით დიდ სავაჭრო ცენტრებში. ასევე განვითარდა საბანკო სისტემა საფრანგეთში, ჰოლანდიასა და გლისსაში. ევროპის ზოგიერთი ქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საზოგადოებრივი ბანკი შეექმნათ. ბანკირების ხელში არსებული ნაღდი ფული ჩაანაცვლეს უნაღდო ფულით. ვაჭრობის დროს, ნაღდი ფულის ნაცვლად ხდებოდა თანხის გადატანა მოვალის ანგარიშიდან კრედიტორის ანგარიშზე, წერილის საფუძველზე. ამ ყველაფერმა კი მიიღო მიმოქცევის სახე - „ჟირო ბრუნვების“ სახელწოდებით.

პირველი საზოგადოებრივი ჟირო - ბანკი დაარსდა 1156 წელს და დაიწყო საბანკო პრაქტიკის გრძელი გზა. ამ პერიოდში შემცირდა საკულტო დაწესებულების როლი, ფინანსური კუთხით. ტამპლიერების მონასტრები ძლიერი იყვნენ ფულად ოპერაციებში და კარგად ორგანიზებულ ბუღალტერიაში, კათოლიკური ეკლესია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყვნენ საბანკო პრაქტიკაში. სწორედ სასულიერო პირების მხარდაჭერით სარგებლობდნენ მევახშეები.

### **მესამე ეტაპი: XIII – XVII საუკუნეები (ჟირო ბანკების ანუ საზოგადოებრივი ბანკების ხანა)**

იმ დროისათვის კათოლიკური ეკლესია და მის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ბანკები ყველაზე გავლენიანი იყო. მედიჩების დინასტიის ბანკი, რომელსაც 16 ფილიალი ჰქონდა საყოველთაოდ ცნობილია. მედიჩის ბანკი ახორციელებდა ფულად გზავნილებს და მის ნებისმიერ ფილიალში შეეძლოთ გზავნილის განაღდება. ფილიალები ქონდა: რომში, ვენეციაში, პარიზში ნეაპოლში, გენუაში და ა.შ. მედიჩების ბანკი ცნობილი იყო სახელით, რომ დედამიწის ნებისმიერ წერტილში შეეძლო თანხის განაღდება. პირველი ვენეციური ბანკი დაარსდა XII საუკუნის ბოლოს, საზოგადოებრივი ბანკები ასევე სხვადასხვა ქალაქებში იქმნებოდა და სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა საბანკო საქმე. გენუის წმინდა გიორგის სახელობის ბანკი, მეტად ცნობილი იყო და საბოლოო სახე მიიღო 1407 წელს.

მსგავსი ტიპის ბანკები ჩნდება ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, ბარსელონაში, მილანში, ნეაპოლში. ცოტა მოგვიანებით კი ჰოლანდიაში, გერმანიაში შვედეთსა და ინგლისში. ჰამბურგში იქნება საზოგადოებრივი ჟირო ბანკი. ეს ბანკები ახორციელებდნენ მხოლოდ ორ ოპერაციას, პირველი ეს იყო თანხის შენახვა, რომელიც განპირობებული იყო გარანტიით, უსაფრთხოების მოთხოვნით და მეორე, ვაჭრები იყენებდნენ უნაღდო ანგარიშსწორებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ამავე ბანკში ჰქონდათ ანგარიში. ანუ ჟირო ბანკი, მხოლოდ ანაბრებს იღებდნენ და ახორციელებდნენ ოპერაციებს, რისთვისაც ცალკე გასამრჯელოს (საკომისიოს) იღებდნენ. მიღებული ანაბრების გასესხება ბანკს არ შეეძლო, თუმცა ეს პრაქტიკა თანდათან იცვლება და ბანკები გადადიან განვითარების ახალ საფეხურზე.

დაკვირვების შემდეგ მიხვდნენ ბანკირები, რომ ანაბრით შემოსული თანხები რჩებოდა როგორც უმოძრაო კაპიტალი, რომელიც ჩერდებოდა ძალიან დიდი ხანი, მისი გატანა ხდებოდა გარკვეული პერიოდის შემდეგ, ანაბრებიდან კი თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი გაჰქონდათ. იმ პერიოდისთვის ანაბრების სახით ბანკში შედიოდა მონეტები, ოქრო, ძვირფასეულობა და ა.შ. ბანკირები მიხვდნენ, რომ მათ ხელში არსებული ფულის (იგულისხმება ანაბრების თანხები) შეეძლოთ გაესესხებიათ მოკლევადიანი სესხებით. ამის შემდეგ უკვე ანაბრების შესანახად ბანკს თანხას არ უხდინდნენ, ხოლო სანაცვლოდ მოიპოვეს ფულის გასესხების უფლება. ბანკი საკუთარ თავზე იღებდა თანხის დაბრუნებას ვადის ბოლოს ან მოთხოვნისთანავე. ეს პრაქტიკა კი დღემდე არსებობს ბანკებში. ბანკები ფულს იხდიან მოზიდული დეპოზიტებით.

ჟირო ბანკები გარდაიქმნა სადეპოზიტო ბანკებად, ანუ ბანკებს უკვე შუამავლის როლი აქვს. ისინი მეანაბრებს აძლევდნენ ბილეთს ანაბრის სანაცვლოდ, რითაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ მოეთხოვათ თავისი თანხა სრულად ან ნაწილი.

ბანკებს სურდა საბრუნავი სახსრების გაზრდა, ამიტომ საბანკო ბილეთებს უშვებდნენ უფრო მეტი თანხით, ვიდრე ანაბარი იყო, რამაც წაახალისა მეანაბრები. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი გახდა საბანკო სექტორისთვის, წაახალისა დაკრედიტების სისტემა.

**მეოთხე ეტაპი: ბანკების მიერ მსოფლიოს „დაპყრობა“ (XVIII საუკუნე)**

XVII საუკუნეში შეექმნა საბანკო საქმეს ის წინაპირობა, რომელიც შემდგომ XVIII საუკუნეში განხორციელდა. საბანკო საქმემ მიიღო უფრო გლობალური სახე და უნდა შერწყმოდა მსოფლიო მეურნეობას. ეს იყო:

- ახალი სასაქონლო ბაზრების წარმოქმნა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად;

- ფინანსური კავშირების ინტერნაციონალიზაციის დასაწყისი;
- საწარმოო შესაძლებლობების ზრდა;
- ეკონომიკური ინტერესების გაჩენა ევროპულ სახელმწიფოებში;

ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, როდესაც ევროპაში მოხდა ოქროსა და ვერცხლის შემოდინება, იტალიის ბანკებმა დაკარგა მონოპოლია. ამ ფაქტმა კი მნიშვნელოვნად გაზარდა მამულები საბანკო საქმის.

ინგლისს უკავშირდება განვითარების ახალი ეტაპი საბანკო საქმეში, XVII საუკუნისთვის მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყანა იყო. პირველი ბანკირები სწორედ ოქრომჭედლები არიან, რომლებსაც ჰქონდათ სპეციალური საცავები ოქროს შესანახად. სწორედ ოქრომჭედლებს აბარებდნენ ძვირფასს ლითონს. ოქრომჭედლებიც სხვა ბანკირების მსგავსად, მიბარებული ოქროს სანაცვლოდ იძლეოდნენ გამოწერილ „ცნობას“ რომლის საფუძველი იყო მხოლოდ და მხოლოდ ნდობა. ამ ცნობის მიმღები, დარწმუნებული იყო, რომ ცნობის სანაცვლოდ მიიღებდა იმ რაოდენობის ოქროს, რაც ცნობაზე იყო ასახული. ამ ცნობის განაღდება ოქროდ ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი ისევ იუველირთან. ადამიანებმა ძვირფასი ლითონის ნაცვლად დაიწყეს უზრინველყოფა ფარატინა ფურცელზე გაწერილი ხელწერილების საფუძველზე, ეს ყოველივე კი მხოლოდ და მხოლოდ ნდობაზე იყო დამოკიდებული. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ფულის ევოლუციის რთულ გზაზე.

საბანკო საქმის განვითარების ამ ეტაპზე გვხვდება მნიშვნელოვანი სიახლეები: გაჩნდა ბანკები, რომლებიც სხვადასხვა საქმეს ემსახურებოდნენ. უფრო მამულებური გახდა სადეპოზიტო ოპერაციები. ანაბრების გამოყენებამ და ბრუნვამ უფრო დახვეწა ის და სამი ძირითადი ტიპი შეიქმნა: მოთხოვნამდე ანაბარი, ვადიან ანაბარი და შემნახველი. მნიშვნელოვანი დარტყმა მევახშეებს კი კრედიტების გაიაფებამ მიაყენა. XIX საუკუნისთვის ბანკები გვევლინება როგორც

ჩამოყალიბებული ინსტიტუტები, მსოფლიოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

### **მეხუთე ეტაპი: თანამედროვე ბანკინგი (XIX საუკუნიდან დღემდე)**

XIX საუკუნიდან დაიწყო ბანკების მრავალმხრივი და მრავალფეროვანი განვითარება. განსაკუთრებით განვითარდნენ და სრულყოფილი სახე მიიღეს დეპოზიტურმა ბანკებმა შემდეგ ქვეყნებში: ინგლისი; გერმანია; შვეიცარია; შოტლანდია და ა.შ. გაჩნდა სპეციალიზირებული ბანკები: სახალხო ბანკი - რომელიც მოსახლეობას ემსახურებოდა, იპოთეკური ბანკები, სასესხო სალაროები, ხელოვნების ბანკები, ლომბარდები, შემნახველი ბანკები.

ამავე პერიოდში მასობრივად წარმოიშვა ცენტრალური ბანკები, რაც შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტადაც ჩავთვალოთ, ცენტრალური ბანკები მონოპოლიურად ასრულებენ ფულის ემისიის ფუნქციას. ნაპოლეონის მმართველობის დროს 1800 წელს შეიქმნა საფრანგეთში ცენტრალური ბანკი.

განვითარებულ ქვეყნებში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა საბანკო სისტემა, ეროვნული საბანკო სისტემა სრულყოფილ სახეს იღებდა, ხოლო მოთხოვნის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ბანკების რაოდენობაც. ფართოვდებოდა საბანკო ოპერაციები, ფასიანი ქაღალდების ოპერაციები, ფაქტორინგი, ლიზინგი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ხაზი, გარანტია და სხვა. ამ ყველაფერმა კი საფუძველი ჩაუყარა ფინანსური იმპერიის შექმნას.

ბანკების როლის ერთ-ერთი მაგალითია როტშილდების ფინანსური იმპერია, ომის დროს თორმეტმა სახელმწიფომ აიღო პროცენტის სესხი. ხოლო ომის დასრულების შემდეგ მათმა ვალმა შეადგინა 70 მლნ ფუნტ სტერლინგზე მეტს. ეს თანხა კი იმ დროისთვის წარმოუდგენლად ბევრი იყო.

XIX საუკუნიდან იქმნება გიგანტი ბანკები, რომლის როლი დღესაც მნიშვნელოვანის გლობალურ საბანკო სისტემაში. „ჩეიზ მანჰეტენ ბანკი“ აშშ - ში - 1877 წელს შეიქმნა და საბლოლოდ 1955 წელს ჩამოყალიბდა; „დიოჩე ბანკი“ - 1870 წელს; და „დრეზდნერ ბანკი“ - 1880 წელს გერმანიაში ჩამოყალიბდნენ; იაპონიაში „ფუძი ბანკი“ 1880 წელს ჩამოყალიბდა.

დღეისათვის ბანკი ყოველი ჩვენგანის განუყოფელი ნაწილია, მისი სიმარტივის და კომფორტის გამო ყოველდღიურად ვიყენებთ სხვადასხვა საბანკო ოპერაციას, როგორცაა გადარიცხვა სხვის ანგარიშზე, კომუნალურის გადახდა, მობილური ბალანსის შევსება, თანხის გადახდა ნებისმიერ სუპერმარკეტში თუ კვების ობიექტში და ეს ყველაფერი ბანკში მიუსვლელად, მხოლოდ ინტერნეტბანკის საშუალებით შესაძლებელი გახდა. ამიტომაც სწორედ ბანკი უზრუნველყოფს ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას.<sup>2</sup>

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში საკრედიტო დაწესებულებებს ანუ ბანკების არსებობას, საკმაოდ დიდი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ძვ.წთ.აღ-ით VI ს-ში იბერიასა და კოლხეთის სამეფოს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა, გაჩნდა ზარაფებისა (ფულით მოვაჭრეები) და მევახშეობის ინსტიტუტების სახით, სხვადასხვა ფულად-საკრედიტო დაწესებულებები. რომლებიც წარმოადგენენ დღევანდელ საბანკო სისტემას. მევახშეებისა და ზარაფების მიერ გატარებულ ფულად-საკრედიტო ოპერაციებს ორტალი ეწოდებოდა, კრედიტებს გასცემდნენ უგირავნოდ ან სხვადასხვა ქონების გირავნობის ქვეშ. შემდგომ პერიოდში განვითარება ფულად-საკრედიტო სისტემის პერმანენტულად გრძელდებოდა და ჩქარდებოდა. ერეკლეს დროს ქართლ-კახეთში მონეტების მოჭრა და საკრედიტო ოპერაციები საზარაფო დაწესებულებებში ხდებოდა. „კოლხურ თეთრ“-ს ქართული ვერცხლის მონეტას მეცნიერები ძველი წელთაღრიცხვით VI- III საუკუნით ათარიღებენ. „კოლხური სტარტერი“ - ქართული ვერცხლის მონეტა იჭრებოდა ძველი წელთაღრიცხვით III საუკუნემდე. ქართლის ერისთავის სტეფანოზის მონეტა კი VII საუკუნეში იყო მიმოქცევაში, ორაბაზიანი „ქართული თეთრი“ კი მე-18 საუკუნიდან. ე.წ „ოქროს ხანის“ საქართველოში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ფულადი სისტემა თავისებურებით ხასიათდებოდა, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძისა და ვერცხლის ფულს მსყიდველობითი უნარი ერთი და იგივე გააჩნდა, რაც იმ დროისთვის მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ გვხვდება. შუა საუკუნეების სახელმწიფოებში, ნომინალის

<sup>2</sup> <http://geoeconomics.ge/?p=12463> - საბანკო საქმის წარმოშობის ისტორია - სტატია 10/07/2021

მიუხედავად სპილენძის ფულს ლითონის ღირებულება ჰქონდა. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა გაატარა სწორი და ორიგინალური რეფორმა ფულის მიმოქცევის, კერძოდ სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონით იბეჭდებოდა ფული, ანუ დავით აღმაშენებელმა მოახდინა სავალუტო რეფორმა რომელსაც თანამედროვე ტერმინოლოგიით - ეროვნული ვალუტის დევალვაციას ვუწოდებთ. მკაცრმა სავალუტო კონტროლმა, აღკვეთა ყალბი მონეტების შემოტანა ქვეყანაში უცხოელების მიერ. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ამ სავალუტო რეფორმამ ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკის განვითარებას. მსოფლიო ვაჭრობაში XI – XIII სს საქართველო ჩაბმული იყო, რის შედეგადაც საკრედიტო დაწესებულებებიც ვითარდებოდა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან არსებობდა პრიმიტიული ფულად-საკრედიტო ურთიერთობები.

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში საქართველოში გამოიყოფა 3 ძირითადი ეტაპი საბანკო სისტემის. I ეტაპზე შეიქმნა საბანკო საქმის საფუძვლები. საქართველოში 1989 წელს ჩამოყალიბდა პირველი არასახელმწიფო ბანკი რომელიც იყო კომერციული, მისი საწესდებო ფონდი იყო 500 ათასი მანეთი, ხოლო 5 მლნ მანეთის საწესდებო ფონდით შეიქმნა იმავე წელს კოოპერატიული ბანკიც. ორივე ბანკი, როგორც იმ პერიოდში ჩამოყალიბებული სხვადასხვა კომერციული ბანკები, ემორჩილებოდა და ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს.<sup>3</sup>

საქართველოს საბანკო სისტემის ტრანსფორმაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც 1991 წელს შეიქმნა ბანკების ახალი სტრუქტურა. თუმცა ახალ სტრუქტურას საკმაოდ ბევრი პრობლემა შეექმა გამოუცდელილობის გამო, მაგალითად: ბაკის დაარსებისთვის ლიცენზიის მიღება არავისთვის არ წარმოადგენდა პრობლემას, რამაც გამოიწვია ასობით და ათასობით ბანკის შექმნა, ეს პროცესი ძალიან ქაოსურად მიმდინარეობდა, ზუსტად ორ წელში ასობით ბანკი წარმოიქმნა და დაიხურა. ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1995 წლისთვის 102 ბანკი იყო

---

<sup>3</sup> <http://journals.univ-danubius.ro/index.php/euroeconomica/article/view/3378/3567> - საერთაშორისო ფინანსური კრიზისის გავლენა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ბანკების მუშაობაზე. სტატია 10/07/2021



რეგისტრირებული, ხოლო 2017 წლისთვის მათი რაოდენობა 16 მდე შემცირდა. ბანკების ის ნაწილი, რომელიც დაიხურა ხშირად აფიორა იყო. გახსნიდნენ ბაკს, შემდეგ მოსახლეობისგან ფულს აიღებდნენ და დაიხურებოდა. ბანკის მმართველები ფულის აღების შემდეგ ქვეყნიდან. ამ ყველაფერმა კი მოსახლეობას ნდობა დაუკარგა ბანკების მიმართ. საქართველოში უკვე 10 წელზე მეტია ბანკი აღარ გაკოტრებული. ზოგიერთი ბანკი გაერთიანდა და ზოგმაც საქმიანობა დაასრულა, თუმცა რაც ყველაზე მთავარია ამით მეანაბრეები არ დაზარალებულან, რამაც მოსახლეობის დაკარგული ნდობა აღადგინა.

დღეს საქართველოში სეზ-ის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი ახორციელებს ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე ზედამხედველობას. მათი თავარი ამოცანაა, შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა, რათა აღმოფხვრას ან შეამციროს ფინანსური სტაბილურობის რისკები. კომიტეტი ადგენს : ლიკვიდურობის მოთხოვნას, კაპიტალის დამატებით მოთხოვნას, უზრუნველყოფის კოეფიციენტის ლიმიტს, სესხის მომსახურები კოეფიციენტს, კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი და სხვა.

## 1.2 საბანკო საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება

გლობალური ფინანსური კრიზისის დროს, საბანკო სისტემა მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, რამაც გავლენა მოახდინა მის საქმიანობაზე. კრიზისის წინ უძლოდა სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდა, მაღალი რისკის სესხები, სწრაფი ლიკვიდობა, აქტივების ფასების სწრაფი ზრდა. კრიზისის პირველ ნაწილში ფინანსურ ინსტიტუტებს შეექმნათ პრობლემა ლიკვიდურობის დეფიციტი მოკლევადიანი სესხის დაფარვისას. ამ ფაზაში ფინანსური ინსტიტუტების მთავარი პრობლემა იყო გადახდისუნარიანობა, მაგრამ ხელისუფლება და ბაზრის მოთამაშეები არ განიხილავდნენ სისტემური დაშლის საფრთხეს, მანას სანამ არ დაიშალა „Lehman Brothers“-ის ფინანსური ჯგუფი. „Lehman Brothers“-ის დაშლამ გამოიწვია სისტემის მიმართ უნდობლობა, ინვესტორები გაკოტრებამ დააპანიკა და დიდი ნაწილი გავიდა

ფინანსური ინსტიტუტებიდან. ამ მომენტიდან ევროპის ეკონომიკა ყველაზე დიდ კოლაფსში შევიდა 1930-იანი წლების შემდეგ. მოკლე პერიოდში მოხდა ფინანსური სექტორის პრობლემების გადატანა რეალურ სექტორზე, მაღალ პროცენტის სესხის გაცემა, ფინანსური სექტორის მიმართ ნდობის შემცირებისა და დაფინანსების მოთხოვნის შემცირების გამო (წარმოშობილია როგორც საცალო, ასევე კორპორატიული ბიზნესიდან). გამომდინარე იქედან, რომ სხვადასხვა ქვეყნები, ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულები იყვნენ, გამოიწვია ერთმანეთის ეკონომიკურად დაზარალება.

2004 – 2013 წლები საბანკო სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პერიოდია, სულ მცირე ორი თვალსაზრისით. პირველ რიგში, 10 ქვეყნიდან 8-მა ევროკავშირის წევრობა 2004 წლიდან დაიწყო, ხოლო დანარჩენი 2 ქვეყანა (რუმინეთი და ბულგარეთი) ევროკავშირის წევრი გახდა 2007 წლიდან. მეორე, ამ პერიოდში მას საერთაშორისო ფინანსური კრიზისი შეექმნა, ამიტომ შეგვიძლია შევაფასოთ საბანკო განვითარება ამ კონტექსტში. ამ პირობებში, შედეგები შეიძლება სასარგებლო იყოს როგორც საბანკო მენეჯმენტისთვის, ძლიერი და მოქმედი ბანკების შესაქმნელად, ასევე მარეგულირებელი ორგანოებისთვის - ეროვნული და საერთაშორისო, რათა დამტკიცდეს რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს კონკურენტულ და ჯანსაღ საბანკო სისტემას. <sup>4</sup>

ბანკები დაყოფილია სამ კატეგორიად: ბანკები მაღალი კაპიტალის ადეკვატურობით, მსხვილი ბანკები მთლიანი აქტივების მიხედვით და უცხოური ბანკები. ფინანსური კრიზისის შემდეგ, ბანკების მიზანი იყო კაპიტალის გაზრდა (Berger and Bouwman, 2013). ზოგიერთი კვლევა ხაზს უსვამს კაპიტალის, როგორც ბუფერის როლს მოგების შოკის ათვისების მიზნით (მაგალითად, Repullo, 2004; Von Thadden, 2004). უცხოურმა ბანკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საბანკო ბაზრების განვითარებაში, რადგან ბანკების უცხოელმა ინვესტორებმა შეამცირეს ბანკების რესტრუქტურის ფისკალური ხარჯები (ტანგი და სხვ., 2000), უცხოური ბანკის არსებობამ გაზარდა

<sup>4</sup> <https://forbes.ge/ramdenad-stabiluria-saqa/> საბანკო სექტორის სტაბილურობა საქართველოში, სტატია. 11/07/2021

კონკურენცია, რაც ადგილობრივ ბანკებს უბიძგებს ხარჯების შემცირებასა და ეფექტურობის გაზრდაზე (Claessens et al., 2001). ამავდროულად, უცხოურ ბანკებზე შეიძლება გავლენა მოახდინონ მათი მშობელი ბანკების ცუდმა მუშაობამ ან სტრატეგიის შეცვლამ (Havrylchyk and Jurzyk, 2005). მიღებული შედეგები ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს ევროპის ერთიანი სამეთვალყურეო მექანიზმის რეფორმისთვის, რომელიც ეხება ევროპის ცენტრალურ ბანკს (ECB) და ევროკავშირის სხვა ქვეყნების ეროვნულ ზედამხედველებს შორის "მჭიდრო თანამშრომლობას". ევროპის ცენტრალური ბანკი (ECB) უშუალოდ ზედამხედველობს მონაწილე ქვეყნების მნიშვნელოვან ბანკებს. ბანკის მნიშვნელობა განისაზღვრება აქტივის ზომაზე დაყრდნობით. ბანკის სიდიდესა და მომგებიანობას შორის კავშირი ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომლებსაც ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები ჰქონდათ (Goddard et al., 2004; Athanasoglou et al. 2008).<sup>5</sup>

პასიურასმა და კოსმიდუმ (2007) დაადგინეს პოზიტიური კავშირი ბანკის ზომასა და ბანკის მოგებას შორის. ეს აიხსნება იმით, რომ მსხვილი ბანკები სარგებლობენ მასშტაბური ეკონომიკით და უფრო მაღალ ასორტიმენტს სთავაზობენ მცირე ბანკებთან შედარებით. საკრედიტო რისკი, რომელიც გამოხატულია როგორც არაეფექტური სესხები მთლიანი სესხების კოეფიციენტად, წარმოადგენს ბანკის სპეციფიკურ ფაქტორს, რომელიც ხშირად გვხვდება ლიტერატურაში. Căpraru- მ და Ilnatov- მა (2014) აჩვენეს, რომ საკრედიტო რისკს აქვს უარყოფითი და მნიშვნელოვანი გავლენა ROA- ზე და ROE- ზე, მაგრამ გავლენას არ ახდენს CEEC- ის წმინდა პროცენტის ზღვარზე.

ბოლტმა და სხვებმა (2012 წ.) დაასკვნეს, რომ მიმდინარე რეცესიის პირობებში ბანკის მომგებიანობაზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ციკლი. მათ აჩვენეს, რომ თუ რეალური მშპ 1% -ით შემცირდა ღრმა რეცესიის დროს, მაშინ ROA შემცირდება 0.24%-ით საბანკო ინდუსტრიის დონეზე. ეს დასკვნა აიხსნება იმით, რომ საბანკო სესხები,

---

<sup>5</sup> <https://forbes.ge/ramdenad-stabiluria-saqa/> საბანკო სექტორის სტაბილურობა საქართველოში , სტატია. 12/07/2021

რომლებიც კერძო სექტორს ენიჭება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მშპ-ს დონეზე. მშპ-ს ვარდნა იწვევს აქტივის ხარისხის გაუარესებას და არასასურველი სესხების ზრდას.

ათანასოგლუმ და სხვებმა (2006 წ.) გაანალიზეს ცენტრალური და სამხრეთ ევროპიდან შვიდ ქვეყანაში საბანკო სექტორის მომგებიანობა 1998 - 2002 წლებში. მათ ბანკის სპეციფიკურ ფაქტორებს შორის შემოიღეს ინდექსი, რომელიც ასახავს საბანკო რეფორმის პროგრესს და ახასიათებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს.

2008-2009 წლების ფინანსური და საბანკო კრიზისის დროს გამოკვეთილი წინააღმდეგობის გადალახვა გახდა ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა. ცენტრიდანული ძალები ასევე მოქმედებენ ფინანსური რეგულირების სტანდარტით, რომელთა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რადგან ეროვნული ფინანსური ბაზრები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, საერთაშორისო სტანდარტები უნდა მოერგოს ეროვნულ სპეციფიკას. მიუხედავად იმისა, რომ კომპრომისულ საფუძველზე მიღებული საერთაშორისო სტანდარტები, ყოველთვის ვერ აღმოჩნდებოდა პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტილება, მათი განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე. ფინანსური ბაზრების სიმწიფის დონის, აგრეთვე ქვეყნების კულტურული, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა მახასიათებლების, დიდი და მცირე ბანკების ოპერაციულ საქმიანობაში არსებული განსხვავებების, ყველა ქვეყნისა და ინსტიტუტების ერთიანი საერთაშორისო სტანდარტის არსებობის გათვალისწინებით. აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად, ეკონომიკურმა პრესამ შემოგვთავაზა მსოფლიო ფინანსური ორგანიზაციის (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) შექმნა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ანალოგიურად, გლობალური ფინანსური ბაზრების რეგულირების, ზედამხედველობის საერთაშორისო სტანდარტების დასადგენად, მათი შესრულების მონიტორინგისთვის და შეიქმნას დავის გადაჭრის მექანიზმი. წამყვანი ფინანსური ბაზრების მარეგულირებელი წესების ჰარმონიზაციის მიზნით საერთაშორისო კონვენციის ან საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულების მიღების იდეა არაერთხელ შემოთავაზებულა

საერთაშორისო ფინანსთა ინსტიტუტის მიერ (საერთაშორისო ფინანსთა ინსტიტუტი არის კვლევითი, საკონსულტაციო და ინფორმაციის ბანკთაშორისი ცენტრი, რომელიც შექმნილია უდიდესი დასავლური ბანკების მიერ 1983 წელს. მისი წევრები 180-ზე მეტი კერძო ბანკია). საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის არსებობა ნაწილობრივ წყვეტს ფინანსური ბაზრების მონიტორინგის პრობლემას. ამავდროულად, მთავარი მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია მსოფლიო ფინანსური ორგანიზაციის შექმნა, როგორც მსოფლიო მარეგულირებელი იურიდიული და სააღსრულებო ფუნქციებით, არის ეროვნული მთავრობების სურვილი, გახდნენ სუვერენიტეტის ნაწილი და გადასცენ თავიანთი ფინანსური ბაზრების კონტროლის უფლება საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის გადაწყვეტილებებს ვერ აკონტროლებენ სრულად. 2008-2009 წლების მოვლენებმა აჩვენა, რომ კრიზისის შემთხვევაში, ბანკების გადარჩენა ძირითადად ეროვნული ბიუჯეტის ხარჯზე ხდებოდა. 2008-2009 წლების კრიზისმა, რომელსაც თან ახლავს მრავალი ბანკის გაკოტრება და ბანკის თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის არაკეთილსინდისიერი საქციელი, გამოიწვია ბანკების ნდობის შემცირება.

შეერთებულ შტატებს აქვს რთული მარეგულირებელი ჩარჩო, რომლებიცაა:

- ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო; (ფედერალური სარეზერვო სისტემა)

ფედერალური სარეზერვო სისტემა არის შეერთებული შტატების ცენტრალური ბანკი და ახორციელებს აშშ-ს მონეტარულ პოლიტიკას, ფედერალური სარეზერვო სისტემა ზედამხედველობას უწევს BHCS, FHCS შტატების ბანკებს, რომლებიც ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრები არიან.

- ანაბრების ფედერალური კორპორაცია FDIC

FDIC - არის მთავარ მარეგულირებელად სახელმწიფო დაქირავებული ბანკებისათვის, რომელიც არ არის ფედერალური სარეზერვო სისტემის, აგრეთვე უზრუნველყოფს ბანკის და მეწარმე დეპოზიტების დაზღვევას.

- ვალუტის კონტროლის ოფისი OCC

OCC - არის აშშ-ს დამოუკიდებელი ბიურო. არეგულირებს ხაზინის დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ვალუტის კონტროლიორი და ზედამხედველობას უწევს ყველადს - ეროვნულ ბანკს, შემნახველ ფედერალურ ასოციაციას, უცხოური ბანკების ფედერალურ ფილიალებს და სააგენტოებს.

- მომხმარებელთა ფინანსური დაცვის ბიურო CFPB

CFPB - ს აქვს პირველადი უფლებამოსილება შეიმუშაოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულაციები, რომელიც გამოიყენება როგორც ბანკების ასევე არასაბანკო ორგანიზაციების მიერ, მათი აღსრულება ევალება ბანკებს, რომლის აქტივები არის 10 მილიონზე მეტი და მათ შვილობილ კომპანიებსაც.

- ფინანსური სტაბილურობის სამეთვალყურეო საბჭო FSOC

FSOC -ს თავმჯდომარეობს სახაზინო მდივანი და მოიცავს მის რვა ფინანსურ მარეგულირებელ და ერთ დამოუკიდებელ წევრს. აღსანიშნავია, რომ FSOC უფლებამოსილია დანიშნოს სისტემატიურად მნიშვნელოვანი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, ფედერალური სარეზერვო სისტემის ზედამხედველობისათვის.<sup>6</sup>

საქართველოში არსებულ კომერციულ ბანკებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც შეიქმნა 1919 წელს, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს ცენტრალური ბანკი 1991 წლიდან. მისი სტატუსი ქვეყნის კონსტიტუციით არის განსაზღვრული და დამოუკიდებელი არის თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის საქმიანობაში ჩარევის უფლება არააქვს ხელისუფლების წარმომადგენლებს. მისი უფლება-მოვალეობები და დამოუკიდებლობის გარანტია, საქართველოს ორგანული კანონით განისაზღვრება („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“) ის წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ახორციელებს მონეტარულ პოლიტიკას, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას, პასუხისმგებელია,

---

<sup>6</sup> <https://www.globallegalinsights.com/practice-areas/banking-and-finance-laws-and-regulations/usa> - აშშ-ს საბანკო რეგულაცია . სტატია. 12/07/2021

შეასრულოს მასზე დაკისრებული ძირითადი ფუნქციები და მიზნები, მის ხელთ არსებული მარეგულირებელი და მონეტარული ინსტრუმენტებით.

ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს, რათა უზრუნველყოს გამჭვირვალობა, ფინანსური მდგრადობა, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ზედამხედველობა ხორციელდება, როგორც დისტანციური, ასევე, ადგილზე შემოწმებების გზით. ამასთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკი არის ფისკალური აგენტი. ასევე საქართველოს ეროვნული ბანკი მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლის მიზანია მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა. უფლებამოსილია საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებს და სხვა ორგანოებსაც.

ყურადღებას გავამახვილებთ ბანკის კაპიტალის მოთხოვნაზე, რომლის მიზანი არის, ერთის მხრივ ბანკის ფინანსური სტაბილურობის გარანტია, ხოლო მეორეს მხრივ, დეპოზიტარების ინტერესების დაცვა, რათა მას ჰქონდეს მომავალში რისკის შესაბამისი ფინანსური ლიკვიდურობა და ფლობდეს საკმარის კაპიტალს კრიზისული სიტუაციის დასაძლევად. საჭიროა, როგორც კრიზისამდე, ასევე კრიზისის შემდგომ პერიოდში, მონიტორინგი კაპიტალის დონის ცვლილებაზე და კომერციული ბანკების კაპიტალის მოთხოვნის სწორად განსაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N175/04-ის 5.ბ პუნქტის მიხედვით შეიცვალა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების №100/04 (2013 წლის 28 ოქტომბერი) მიხედვით განსაზღვრული საზედამხედველო კაპიტალის ოდენობები, რომელიც ყოველთვის მეტი ან ტოლი იქნება კაპიტალის შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებზე:

- „ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი, კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 4.5%-ზე მეტი ან ტოლი;
- ბ) პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 6%-ზე მეტი ან ტოლი;

გ) საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 8%-ზე მეტი ან ტოლი.“<sup>7</sup>

ამჟამად, მოქმედი სარეზერვო მოთხოვნები შეადგენს 5%-ს ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე და 25%-ს უცხოური ვალუტით ნასესხებ სახსრებზე.

**ღია ბაზრის ოპერაციები** - წარმოადგენს ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც არაპირდაპირი გზით ხდება მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე ზეგავლენა მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება-ამოღებით. ფასიანი ქაღალდების გაყიდვა საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს ამოიღოს საშუალოვადიანი ჭარბი ლიკვიდური სახსრები საბანკო სისტემიდან. ეროვნული ბანკის და სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია ხელს უწყობს ფულადი ბაზრის განვითარებას.

**ღია ბაზრის ერთთვისანი ინსტრუმენტი** - რომელიც ეროვნულმა ბანკმა 2016 წლიდან ამოქმედა. მისი მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვა. ღია ბაზრის ერთთვისანი ინსტრუმენტის საშუალებით ხორციელდება მოკლევადიანი ლიკვიდობის საჭიროებისამებრ მიწოდება.

**სადეპოზიტო სერტიფიკატების** საშუალებით ხდება საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების ამოღება საბანკო სისტემიდან. გამოშვება სადეპოზიტო სერტიფიკატების ეროვნული ბანკის მიერ 2006 წლის სექტემბრიდან ხდება. მისი გაყიდვა ხორციელდება აუქციონის მეშვეობით. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ კომერციულ ბანკებს და გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით.<sup>8</sup>

#### **მამტაბური რეფორმა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის**

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უკანასკნელ წლებში. მონეტარული პოლიტიკის მექანიზმი, რომელიც ამოქმედდა 2014 წლიდან და სახაზინო ობლიგაციების ბაზრის გაფართოებამ აგრეთვე საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა 2018 წელს, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ობლიგაციების ბაზრის ზრდას. ასევე საპენსიო

<sup>7</sup> <https://nbg.gov.ge/page/საზედამხედველო-სტრატეგია> - საბანკო სექტორის ზედამხედველობა . 12/07/2021

<sup>8</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=557> ეროვნული ბანკი- ღია ბაზრის ოპერაციები 12/07/2021



რეფორმაც მნიშვნელოვანია გრძელვადიანი დანაზოგებისათვის რომელიც ამოქმედდა 2019 წელს.

საქართველოს ეროვნული ბანკი 2018 წელს გახდა IOSCO<sup>9</sup>-ს ასოცირებული წევრი და ცდილობს მოიპოვოს მუდმივი წევრის სტატუსი. იმისათვის, რომ საქართველო IOSCO-ს მუდმივი წევრი გახდეს საჭიროა, რომ IOSCO-ს მიერ შემუშავებულ რეგულირების ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს დაუახლოვდეს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩო. IOSCO-ს მუდმივი წევრობა გამჭვირვალობისა და ინვესტორთა ინტერესების დაცულობისთვის საჭირო გარანტია. ამასთან, მისი წევრობა ზრდის შესაძლებლობებს და აფართოებს ქვეყნებს შორის ფინანსური ბაზრების ინტეგრაციას.

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" მიღებული ცვლილებები 2020 წლის 29 ივნისს საქართველოს კანონში და "საინვესტიციო ფონდების შესახებ" 14 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების რეფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია. ორივე კანონპროექტი შემუშავდა საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროების და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მიერ. აღნიშნული რეფორმები სრულად შეესაბამება IOSCO-ს პრინციპებს. მსგავსი მასშტაბის რეფორმა არ განხორციელებულა საქართველოს კანონში 1999 წლის შემდეგ.<sup>10</sup>

რაც შეეხება **სესხების სტანდარტიზაციის** სისტემას, რომელიც აქტივების კლასიფიკაციის მიხედვით კლასიფიცირდება. ესენია: სტანდარტული სესხები, საყურადღებო სესხები, არასტანდარტული სესხები, საექვო სესხები, უიმედო სესხები.

- **„სტანდარტული სესხები“** - საკრედიტო რისკი მისაღებია და გონივრული; სტაბილურია მსესხებლის კაპიტალი და არის გადახდისუნარიანი, მისი კაპიტალის სიმტკიცე ამცირებს მოულოდნელი მოვლენებისგან გამოწვეულ რისკს, შესაბამისად არ ფერხდება პროცენტისა და ძირის გადახდა.

<sup>9</sup> IOSCO - ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციაა.

<sup>10</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3995> ეროვნული ბანკი - ფასიანი ქაღალდების ბაზარი. 12/07/2021

- „საყურადღებო სესხები“ - სტანდარტული სესხებისაგან განსხვავებით აქ გამოვლენილია გარკვეული ნაკოვანებები, რომელიც შემდგომ შეიძლება პრობლემა გახდეს გადახნისუნარიანობაზე, საკრედიტო რისკი მცირეა და ნეგატიური ტენდეციებით ხასიათდება.
- „არასტანდარტული სესხები“ - აქ უკვე მკაფიოდ არის განსაზღვრული სესხის ნაკლოვანებები; არაადეკვატურადაა დაცული გადახდისუნარიანობა რის გამოც საფრთხე ექმნება დავალიანების დაფარვას
- „საეჭვო სესხები“ - სრული მოცულობით სესხის დაბრუნება პრობლემურია, დანაკარგების შესაძლებლობა ძალიან მაღალია (მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის განსაზღვრული).
- „უიმედო სესხები“ - ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწერას, რადგანაც გადახდისუნარიანობის გამო სესხის დაბრუნება შეუძლებელია. <sup>11</sup>

---

<sup>11</sup> კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, 2014 წელი, თავი VII, გვ 173

## თავი II - საბანკო სისტემის მდგრადობა კრიზისების დროს

### 2.1 საბანკო სექტორის მდგრადობის შეფასების მსოფლიო სტანდარტები

კრიზისის პერიოდში, მსოფლიოს არაერთი ქვეყანის კომერციული ბანკი აღმოჩნა დაბრკოლების წინაშე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008 წლის კრიზისი, სადაც მარეგულირებელ ორგანოებს უნდა ამოეხსნათ ურთულესი ამოცანა, თუ როგორ აიცილებდნენ თავიდან კრიზისს. ეს ყველაფერი, კი გონივრული ბერკეტების გამოყენებით უნდა მოეხდინათ.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის შესაფასებლად ჩატარდა უამრავი კვლევა, მაგალითად: მარტინ ჩიჰაკისა და ალექსანდრე რიემანის ნაშრომში, რომელშიც 107 ქვეყნის კვლევაა მოცემული. („ფინანსური სექტორის რეგულირებისა და სუპერვიზირების ხარისხი მსოფლიოს ირგვლივ“) რის მეშვეობითაც შეგვიძლია შევაფასოთ ეფექტურობა მარეგულირებელი და საზედამხედველო პოლიტიკის. კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნების მიხედვით ჩარჩოების ხარისხს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა რეგულირებისა და ზედამხედველობაში. მიუხედავად იმისა, რომ ზედამხედველობა მაღალ-შემოსავლიან ქვეყნებში ხასიათდება უფრო რთული ფინანსური სისტემით და აწყდება უფრო დიდ გამოწვევებს, მაინც უფრო მაღალ ხარისხიანია, ვიდრე საშუალო და დაბალ შემოსავლიან კონომიკებში. თუმცა ისიც აღსანიშნავია რომ ცოდნის დონა აღნიშნული ქვეყნების, ზედამხედველობაში არ არის უფრო მაღალი, ვიდრე საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, სწორედ ამიტომ მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითი, საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად არ გამოგვადგება. მაგრამ შეგვიძლია ავიღოთ პოლონეთის მაგალითი, რომელიც ერთადერთი ევროპული ქვეყანაა, რომელმაც რეცესია თავიდან აიცილა და გადაურჩა საბანკო კრიზისს. პოლონეთის ბანკები დარჩა კარგად კაპიტალიზირებული მთელი კრიზისის პერიოდში, მომგებიანი და ლიკვიდური.

კრიზისის დროს პოლონეთის ბანკებმა გაზარდეს დაკრედიტება კერძო სექტორში, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. მათ ერთი დოლარიც კი არ დასჭირდათ მხარდაჭერისათვის. კრიზისი არ შეჰხებია ასევე კანადის საბანკო სისტემას, რომლის მიზეზად მაღალი კაპიტალიზაცია ხასიათდება. სწორედ კანადის ბანკია მსოფლიოში აღიარებული, როგორც ყველაზე ჯანსაღი ბანკი. კანადის ბანკები ქმნიან სტაბილურობას გლობალურ ფინანსურ სისტემაში, აქვთ ეფექტური რეგულირება და ზედამხედველობა.<sup>12</sup>

დროთა განმავლობაში განვითარდა კომერციული ბანკების რეგულირების მოდელები, დაემატა გარკვეული მოთხოვნები. ხოლო 1988 წელს, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტმა (BCBS) ბაზელში, შვეიცარია, გამოაქვეყნა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები ბანკების მიმართ. ეს ასევე ცნობილია, როგორც 1988 წლის ბაზელის შეთანხმება, და იგი კანონით აღსრულდა ათი (G-10) ქვეყნების ჯგუფში 1992 წელს, რომლის მიზანია მსოფლიო მასშტაბით გააძლიეროს ზედამხედველობის ხარისხი. ბაზელის კომიტეტის მთავარი ამოცანაა შეიმუშაოს კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისო სტანდარტები, საზედამხედველო პრინციპებით, ტექნიკისა და მიდგომის მეშვეობით. ბაზელის ცენტრი მდებარეობს შვეიცარიაში, სადაც იკრიბებიან საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებისა და შეთანხმებისთვის, რათა შეემუშავებიათ რეკომენდაციები, რომელიც გააძლიერებდა საბანკო სფეროს, ხელს შეუწყობდა მის სტაბილურობას. ასევე მოსალოდნელი რისკების დასაძლევად შიმუშავებდა გარკვეულ ჩარჩოებს, რომელიც კრიზისის დროს იქნებოდა ეფექტური.

ბაზელ I - ის შექმნის შემდეგ, მოგვიანებით 1992 წელს შეიქმნა ბაზელ II მნიშვნელოვანი ზარალის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო რისკის მართვის ცუდი პრაქტიკით, რომელმაც შეცვალა ბაზელის I - ის ხელშეკრულება. ბაზელ II - ის შექმნის მიზანი იყო გაეუმჯობესებია ბაზელ I -ის დოკუმენტი, და უფრო გაფართოებული რეკომენდაციები შემოეთავაზებია. ბაზელის II შეთანხმების თანახმად, ფინანსური ინსტიტუტებისთვის სავალდებულოა სტანდარტიზებული გაზომვების გამოყენება

---

<sup>12</sup> <https://ug.edu.ge/storage/disertations/October2019/WiwrCJUZL3Rq0Ux1vfT0.pdf> - „საბანკო რეგულირების გავლენა საბანკო კრიზისსა და კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე“ ავტორი: კლარა ლურწყაია - თავი 3,2 გვერდი 99.


საკრედიტო, საბაზრო რისკისა და ოპერაციული რისკისთვის. ამასთან, შესაბამისობის სხვადასხვა დონე საშუალებას აძლევს ფინანსურ ინსტიტუტებს, გაითვალისწინონ რისკის მართვის მოწინავე მიდგომები ინვესტიციისთვის კაპიტალის განთავისუფლების მიზნით. თუმცა შეერთებული შტატების ბანკის მარეგულირებელმა ორგანოებმა მოითხოვეს, რომ ბანკს დაეცვა წესები (ბაზელი I ან ბაზელი II), რაც ბანკისთვის უფრო კონსერვატიული მიდგომაა. ამის გამო მოსალოდნელი იყო, რომ მხოლოდ აშშ – ს რამდენიმე უმსხვილესი ბანკი იმუშავებდა ბაზელ II-ის წესებით, დანარჩენები კი ბაზელის I ჩარჩოებში დარეგულირებულნი იყვნენ. ბაზელ II-ის შემდეგ გვხვდება ბაზელი III, რომელიც მოთხოვნები იყო ფინანსური რეგულირების ხარვეზების საპასუხოდ, რაც 2000 წლის ფინანსური კრიზისის შედეგად გამოიკვეთა. ბაზელ III მიზნად ისახავდა ბანკის კაპიტალის მოთხოვნების განმტკიცებას ბანკის ლიკვიდურობის გაზრდით და ბანკის ბერკეტის შემცირებით. კაპიტალის გლობალური ჩარჩო და კაპიტალის ახალი ბუფერული ფინანსური ინსტიტუტები უფრო მეტ კაპიტალსა და კაპიტალის უფრო მაღალ ხარისხს ითხოვენ, ვიდრე ბაზელ II-ის ამჟამინდელი წესებით. ახალი ბერკეტის თანაფარდობა შემოაქვს არა რისკზე დაფუძნებულ ზომას, არამედ რისკის საფუძველზე მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების შესავსებად. ლიკვიდურობის ახალი კოეფიციენტები უზრუნველყოფს სათანადო დაფინანსების შენარჩუნებას სხვა მძიმე საბანკო კრიზისების არსებობის შემთხვევაში.<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> <https://www.ibm.com/docs/en/bfmdw/8.8?topic=accord-about-basel> - ბაზელის შეთანხმების შესახებ . სტატია- 10/07/2021

## ცხრილი 1

ცხრილში მოცემულია დიაგრამა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ აძლიერებს ბაზელი III ბაზელ II-ის სამ საყრდენს, განსაკუთრებით სვეტ 1 – ს, გაძლიერებული მინიმალური კაპიტალისა და ლიკვიდურობის მოთხოვნებით.



*წყარო: IBM საბანკო და ფინანსური ბაზრების მონაცემები*

კაპიტალის მოთხოვნები ბაზელ III – ის წესმა შემოიღო ზომები კაპიტალის მოთხოვნის გასაძლიერებლად რომელიც შექმნილია ფინანსური და ეკონომიკური სტრესის პერიოდში დანაკარგების ათვისების მიზნით. საფინანსო ინსტიტუტებს მოეთხოვებათ კაპიტალის შენარჩუნების ბუფერის 2.5%, რათა გაუძლონ სტრესის მომავალ პერიოდებს, საერთო კაპიტალის მთლიანი მოთხოვნა 7% -მდე (4,5% საერთო კაპიტალის მოთხოვნა და 2,5% კაპიტალის შენარჩუნების ბუფერი). კაპიტალის შენარჩუნების ბუფერი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ საერთო კაპიტალით. ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც არ ინარჩუნებენ კაპიტალის შენარჩუნების ბუფერს, შეზღუდვები აქვთ დივიდენდების გადახდაზე, წილის გასხვისებასა და პრემიებზე. კონტრციკლური ბუფერი, რომლის საერთო კაპიტალი 0% -ია და 2.5%, ან სხვა სრულად ზარალის შემწოვი კაპიტალი ხორციელდება ეროვნული ვითარების შესაბამისად. ეს ბუფერი ემსახურება როგორც კაპიტალის შენარჩუნების ბუფერის გაფართოებას.

უმაღლესი სააქციო კაპიტალი 1 (CET1) წარმოადგენს ზრდას 2% -დან 4,5% -მდე.

- 2013 წლის 1 იანვრიდან 3,5%
- 2014 წლის 1 იანვრიდან 4%
- 2015 წლის 1 იანვრიდან 4.5%

მინიმალური კაპიტალის თანაფარდობა რჩება 8%. კაპიტალის შენარჩუნების ბუფერის დამატება ზრდის კაპიტალის მთლიან ოდენობას, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი უნდა ფლობდეს რისკზე შეწონილი აქტივების 10,5% -მდე, საიდანაც 8,5% უნდა იყოს პირველი შრის კაპიტალი.

პილარ I-ის” მიხედვით მოთხოვნილი დამატებითი კაპიტალის გარდა, „პილარ II-ი“ კომერციული ბანკებისგან მოითხოვს ბანკისათვის მნიშვნელოვანი რისკების პოტენციური მატერიალიზაციის შემთხვევაში ზარალის დაფარვისათვის აუცილებელ კაპიტალს. ხოლო პილარ III ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უწევთ გარკვეული

მონაცემების გამჟღავნება. შეფასებას ეროვნული ბანკი ახორციელებს „ბაზელ II/III-ით“ განსაზღვრული „საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესის“ ფარგლებში. რაც რისკების შეფასების საერთო სისტემაა. რისკების მართვისა და მათი გაანგარიშების პროცესი, კომერციულ ბანკებში აკონტროლებს და მონიტორინგს ატარებს ეროვნული ბანკი. რომლის შემდეგაც დგინდება ინდივიდუალურად ბანკისათვის კაპიტალის მოთხოვნა. „პილარ III-ის“ მოთხოვნა ინფორმაციის საჯაროობაზე, კომერციულ ბანკს ვალდებულს ხდის გაასაჯაროს რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ინფორმაცია, რაც მომხმარებელთა დაცულობას მეტად უზრუნველყოფს.<sup>14</sup>

საქართველოში, კომერციული ბანკის კაპიტალის მოთხოვნები, სწორედ ბაზელ III - ის სტანდარტით განისაზღვრება. რომლის მიხედვითაც, შემდეგნაირად განისაზღვრება პილარ 1 ის მოთხოვნები.

- ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი შეადგენს 4,5% -ს .
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი შეადგენს 6 % -ს
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 8% ს.

კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი განისაზღვრება შეწონილი რისკის პოზიციების 2,5% ის ოდენობით.

პილარი II - ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის დამატებითი ბუფერი განისაზღვრება, რომელიც არ არის პილარ I - ში განსაზღვრული. მისი მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

- არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი;
- წმინა GRAPE - ბუფერი;

რაც შეეხება პილარ III - ს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია გამჭვირვალობა, შესაბამისად კომერციულ ბანკებს აქვთ ვალდებულება, გამოაქვეყნონ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც საერთაშორისო

<sup>14</sup> <https://www.brookings.edu/bpea-articles/congruent-financial-regulation/> - ბაზელის კომიტეტის შესახებ .  
სტატია. 14/07/2021



სტანდარტების მიხედვით მზადდება. ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად, კომერციული ბანკები აქვეყნებენ პილარ 3-ის კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებებს. აღნიშნული ინფორმაცია ზრდის ბანკის სანდოობას.<sup>15</sup>

პილარ 3 ის ანგარიშებში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია ბანკის შესახებ;
- ჯგუფის სტრუქტურა;
- ბანკის მმართველობითი ორგანოები;
- ბანკის რისკების მართვა და სტრატეგია;
- ბაზელ 3 ის ჩარჩოზე დაფუძნებული მოთხოვნები;
- მენეჯმენტის ანაზღაურების პოლიტიკა;

GRAPE - ის საფუძველზე ფასდება კომერციული ბანკის რისკის პროფილი ინდივიდუალურად. მისი მიზანია კომერციული ბანკების რისკების შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრა. რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის განხორციელებებისას სებ იყენებს შემდეგ პრინციპებს:

- მატერიალურ რისკებზე კონცენტრირება - რისკები, რომლებიც ფინანსური სექტორის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის, ასევე დეპოზიტების სახსრებსაც;
- ადრეული ინტერვენციები და მომავალზე ორიენტირებული მიდგომა - რაც გულისხმობს, რომ მოხდეს რისკების შეფასება პრობლემის დადგომამდე და სათანადო მაკროექტირებელი ღონისძიებების გატარებას, რათა მოსალოდნელი რისკები აღმოიფხვრას;
- რეგულირებად ფინანსურ ინსტიტუტებთან დიალოგი - აქ მნიშვნელოვანია სხვადასხვა რგოლის მენეჯმენტის როლი, რათა მათი დიალოგის საფუძველზე ზედამხედველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ბანკის კულტურას, სტრატეგიასა და მოტივაციას. ხელს უწყობს ბანკში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას.
- სისტემური საკითხების გათვალისწინება - აღნიშნული გულისხმობს ისეთი საკითხების გათვალისწინებას, როგორებიცაა მაკროეკონომიკური გარემო, ჯამური კონცენტრაციის გათვალისწინება, და სხვა.

<sup>15</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=698> ეროვნული ბანკი, კაპიტალის სტანდარტები 10/07/2021

- თანმიმდევრულობა, შესაბამისობა და თავსებადობა - გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში თანმიმდევრული მოთხოვნების დაწესებას. აღნიშნული ასევე მოიცავს ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელი ინდიკატორების შედარებას ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან, ყველა ინსტიტუტისათვის.

- შიდა რესურსების ეფექტიანი გამოყენება - საზედამხედველო რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენებას.<sup>16</sup>

GRAPE-ის ფარგლებში შესაფასებელი რისკის კატეგორიებია:

- საკრედიტო რისკი;
- საოპერაციო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა;
- მაკროეკონომიკური გარემო;
- კორპორაციული მართვა;
- ჯგუფის სტრუქტურა;

---

<sup>16</sup> [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/grape/grape\\_f.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/grape/grape_f.pdf) რისკების შეფასების საერთო პროგრამა (GRAPE) გვ.4-5 20/07/2021

## 2.2 ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლი საბანკო სისტემის მდგრადობაში

ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ეკონომიკური ზრდის ტემპი და მდგრადობა. რის მისაღწევად სახელმწიფოს ესაჭიროება აამაღლოს ქვეყანაში საბანკო სექტორის როლი. სწორედ საბანკო სექტორის განვითარება და მდგრადობა განსაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებით: საპროცენტო განაკვეთით; გაცვლითი კურსით; სხვადასხვა საბანკო პროდუქტით; ფასების ცვლილებით; ფასიანი ქაღალდების ფასების ცვლილებით; ფინანსური რისკების ცვლილებითა და ინფლაციის დონის ცვლილებით. ეს ყოველივე გავლენას ახდენს რაოდენობრივ მახასიათებლებზე და არღვევს მის მთლიანობას. მდგრადობას გააჩნია ორი მახასიათებელი საიმედოობა და წონასწორობა; წონასწორობა დაბალანსებული მდგომარეობა, ხოლო წონასწორობის დარღვევა დინამიკაში კი არის კრიზისი . კრიზისი ააშკარავებს განვითარების ზღვარს და ბიძგია წონასწორობის ახალ მდგომარეობაში გადასვლი. მდგრადი წონასწორობა სტაბილურობის ერთ-ერთი შემადგენელია. რაშიც იგულისხმება სტაბილურობის შენარჩუნება ზემოქმედების შემდეგაც.

კომერციულ ბანკს, ეროვნული ბანკი უსაზღვრავს საბანკო სისტემას, რის მეშვეობითაც მიიღწევა ფინანსური მდგრადობა. მდგრადობა გულისხმობს შოკისა და სტრესის პირობებში ინარჩუნებდეს ეფექტიანობას. ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საბანკო სტაბილურობის ხელშეწყობა. ფინანსური მდგრადობისთვის ეროვნული ბანკი შეიმუშავებს პოლიტიკას, რისკების გამოვლენით და მასზე მოქმედი ფაქტორებით. რომლებიცაა:

- კაპიტალის საკმარისობის უზრუნველყოფა,
- აქტივების ხარისხის ამაღლება,
- რისკების მართვის პრინციპების შემუშავება,
- დეპოზიტების დაზღვევა,
- სახელმწიფო რეგულირება

როდესაც სესხის ფინანსური რისკი იზრდება და აღარ არის გადახდისუნარიანი, კომერციული ბანკები ახდენენ სესხის რესტრუქტურირებას, გადახდისუნარიანობის აღდგენისათვის. რომელიც დადებით გავლენას ახდენს მდგრადობაზე. რესტრუქტურირება კრიზისის დროს იჩენს თავს და შეგვიძლია გავიხსენოთ 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდი, როდესაც მასობრივად საჭირო გახდა სესხების რესტრუქტურირება და 21 საუკუნის მსოფლიო პანდემია სადაც არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო ერთობლივად, ერთი სტრუქტურით მოქმედებდა. სწორედ პოლიტიკური და არასახარბიელო მდგომარეობის დროს გვესაჭიროება რესტრუქტურირების პროცესი.

მდგრადობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორია ასევე სისტემურობის ბუფერი, რომელიც დგინდება ინდივიდუალურად. სისტემურობის ბუფერი გამოიხატება რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებში პროცენტულად.

ასევე მნიშვნელოვანია საბანკო მდგრადობის შიდა ფაქტორებ, რომლებშიც შედის: კომპეტენტური თანამშრომლები, სამუშაო გარემო, თანამშრომლების დისციპლინა, რომელიც ყველა კომერციული ბანკის შინაგანაწესში არის მითითებული, (გუნდურობა, პასუხიმგებლობა და პუნქტუალობა) და სხვა. CAMELS-ის რეიტინგი, მდგრადობის შეფასების გავრცელებული ფორმაა. გაანგარიშების ფორმულაა:

$$CAR=(C (T1+T2)):(R -a)$$

სადაც: CAR-კაპიტალის ადეკვატურობაა , C-კაპიტალი, T1 და T2- ძირითადი და დამატებითი კაპიტალი, R-რისკი, a-შეწონილი აქტივი.

როდესაც საბანკო სექტორის მდგრადობას განვიხილავთ, აუცილებელია ვისაუბროთ მონეტარულ პოლიტიკაზე, რომელიც გავლენას ახდენს როგორც საპროცენტო განაკვეთებსა და ფასების საერთო დონეზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო დონეზეც. შეგვიძლია გამოვყოთ ცენტრალური ბანკის სტრატეგიული მიზანი, რომლებსაც სწორედ მონეტარული პოლიტიკის გატარებით აღწევს:

- ფასების სტაბილურობა;

- ეკონომიკური ზრდა;
- საპროცენტო განაკვეთების სტაბილურობა;
- ფინანსური ბაზრების სტაბილურობა;
- სავალუტო ბაზრების სტაბილურობა.
- დასაქმების მაღალი დონე;

ცენტრალური ბანკების მიერ გამოიყენება სამი ძირითადი მონეტარული

1. მონეტარული თარგეთირება.
2. ინფლაციის თარგეთირება
3. გაცვლითი კურსის თარგეთირება.

რაც უფრო ეფექტიანია მონეტარული პოლიტიკა, ფასების სტაბილურობის მიღწევა მით უფრო დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯით არის შესაძლებელი. სწორედ ამიტომ ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად იყენებენ მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ორიენტირს, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს. ამ ორიენტირის მისაღწევად იყენებენ სებ-ს. რომელიც შედგება შემდეგი ინსტრუმენტებისაგან:

## ცხრილი 2

*მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განაკვეთები<sup>17</sup>*

ძალაშია 2021 წლის 29 აპრილიდან	ვადადობა	განაკვეთი (%)
რეფინანსირების სესხი	7 დღე	განისაზღვრება აუქციონით (მინიმალური 9.50%)
ღია ბაზრის ერთთვისანი ინსტრუმენტი	28 დღე	განისაზღვრება აუქციონით (მინიმალური 9.50%)
ერთდღიანი დეპოზიტები	1 დღე	(9.50 -0.75) %
ერთდღიანი სესხები	1 დღე	(9.50 +0.75) %
სადეპოზიტო სერტიფიკატები	3 თვე	განისაზღვრება აუქციონით
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	1/2/5/10 წელი	განისაზღვრება აუქციონით
	<b>ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის</b>	<b>უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის</b>

<sup>17</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=539> - ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განაკვეთები 22/07/2021

სარეზერვო მოთხოვნა*	5.0%	25.0%
---------------------	------	-------

მონეტარული პოლიტიკის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი დღესდღეისობით წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ რეჟიმს. რომელიც ითვალისწინებს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას, ხოლო ინსტრუმენტების მეშვეობით უნდა შეინარჩუნონ ინფლაციის მიზნობრივი დონე. საქართველოს მონეტარული პოლიტიკის ინფლაციის თარგეთირების მიხედვით 2019-2021 წლებისთვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 3 პროცენტს. ასევე მნიშვნელოვანია სწორი მოლოდინები, რაც ფასების სტაბილურობის ეფექტიანად მიღწევისათვის აუცილებელია. მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა ყოველწლიურად ხდება. ინფლაციის თარგეთირების მეთოდი არჩეული აქვს 40 ქვეყანას, რომელთა შორისაა როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი ქვეყნები მათ შორის მცირე, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორცაა საქართველო. მონეტარულ პოლიტიკას საქართველო 2009 წლიდან ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში. ინფლაციის თარგეთირება იძლევა დიდი დროის მანძილზე მიზნის მიღწევის საშუალებას, რის გამოც ყველაზე მოქნილ რეჟიმად ითვლება. თუმცა ახლავს თავისი გამოწვევებიც, გამომდინარე იქედან, რომ ინფლაციის კონტროლი რთულია. საშუალოდ 4-6 კვირა არის საჭირო მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილების შემდეგ შედეგის მისაღებად (განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებში).


მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობისათვის, ატარებენ ეკონომიკის მრავალმხრივ ანალიზს. ხოლო ინფლაციის პროგნოზირებისათვის ეფექტურია მაკროეკონომიური მოდელი. მიწოდების შოკი წარმოგვიდგება ინფლაციური პროცესების გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორად განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში, მათ შორის საქართველოშიც, რადგანაც დამოკიდებული არიან იმპორტირებულ პროდუქტზე, შესაბამისად მსოფლიოს სასაქონლო და ნავთობის ბაზრებზე ფასების ზრდა პირდაპირ აისახება იმპორტირებულ ინფლაციაზე. რაც შეეხება საქართველოს, ყველაფერთან ერთად დაბალშემოსავლიანი ქვეყანაა, რის გამოც მტკივნეულად აისახება ფასების მატება. ფასების მატება იმპორტის გარდა მონეტარული პოლიტიკის შედეგად მოთხოვნის გაზრდის გამოც შეიძლება მოიმატოს,

რაც ასევე მტკივნეულია. ამიტომაც ფასების სტაბილურობა ქვეყანაში მნიშვნელოვანია, რომლის მიზანი არის საქართველოს ეროვნული ბანკის. სწორედ სტაბილურობა ეკონომიკაში უზრუნველყოს დასაქმების მაღალ დონეს, ამ დროს საწარმოებიც ახდენენ ინვესტიციას დანადგარების შესაძენად, თუმცა როდესაც მაღალია უმუშევრობის დონე, საწარმოები დანადგარებში ფულს არ ახანდებენ, რაც ხელს უშლის ეკონომიკის ზრდას.<sup>18</sup>

მონეტარული პოლიტიკის ინფლაციის თარგეთირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს რეფინანსირების (იგივე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი) რომელიც დღეისათვის შეადგენს 9,5% -ს. სესხების საპროცენტო განაკვეთი, საქართველოში საპროცენტო განაკვეთების გადაცემა ეკონომიკაზე ხდება შემდეგი არხებით: საკრედიტო, გაცლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთებისა და მოლოდინების არხების მეშვეობით. ინფლაციის თარგეთირებას ადგენს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი, ხოლო პრეზიდენტი ამტკიცებს.<sup>19</sup>

### ცხრილი 3


*მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთი 2008 წლიდან დღემდე. დღეის მდგომარეობით შეადგენს 9.5%-ს*



წყარო: ეროვნული ბანკი

<sup>18</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=628> მონეტარული პოლიტიკის შესახებ - 21/07/2021

<sup>19</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=541> - მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები 21/07/2021



მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ზრდის ფაქტორები.

წყარო: ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსის თარგეთირებისას წინასწარ განსაზღვრულია მონეტარული პოლიტიკის ქმედებები. ეროვნული ვალუტის (ლარის) გაუფასურება იწვევს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას. ხოლო გამყარება კი პირიქით, მონეტარული



პოლიტიკის შერბილებას. ხასიათდება სიმარტივით და გამჭვირვალებით, კურსის თარგეთირება მარტივად გასაგებია საზოგადოებისთვის. ზოგიერთი ქვეყანა ინფლაციის დასაწევად იყენებდნენ გაცვლითი კურსის თარგეთირებას. საფრანგეთმა 1987 წელს გერმანულ მარკას მიაბა საკუთარი ვალუტა, სადაც ინფლაციის დონე იყო 3 %, ხოლო 1992 წლისთვის კი შემცირდა და 2% შეადგინა. 1996 წელს კი 2% ზე ნაკლები იყო გერმანიისა და საფრანგეთის ინფლაციის დონე. ხოლო ინგლისმა 1990 წელს მიაბა გერმანიის მარკას გაცვლითი კურსი და ინფლაციის დონე 10% დან შემცირდა 3 % მდე. განვითარებად ქვეყნებში, კურსის თარგეთირება იყო ინფლაციის დონის სწრაფი შემცირებისათვის ყველაზე ეფექტური.

საერთაშორისო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დადებითი ფაქტორების მიუხედავად გაცვლითი კურსის თარგეთირებას აქვს უარყოფითი მხარეებიც. მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმართვა ვერარ ხდება გაცვლითი კურსის თარგეთირების გამო. ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი უკავშირდება მჭიდროდ იმ ქვეყნის საპროცენტო განაკვეთს, რომლის ვალუტაზეც არის მიბმული. ქვეყანას გადაეცემა ავტომატურად ის შოკები, ვისზეც არის ვალუტა მიბმული. გაცვლითი კურსის თარგეთირების კიდევ ერთი პრობლემაა სპეკულაცია, ანუ როდესაც მოლოდინი არის ვალუტის კურსის გაუფასურების, სპეკულიანტები ყიდნიან კარგ კურსად ეროვნულ ვალუტას.

**მონეტარული თარგეთირების** - საშუალება ეძლევა ცენტრალურ ბანკს წარმართონ მონეტარული პოლიტიკა, რაც უპირატესობად შეიძლება მივიჩნიოთ გაცვლითი კურსის თარგეთირებასთან შედარებით. მონეტარულ თარგეთი წარმოადგენს სიგნალს საზოგადოებისთვის და ბაზრისთვის, რითაც შესაძლებელი ხდება სწორი ინფლაციური მოლოდინების შექმნა და ინფლაციის შემცირება. მონეტარული თარგეთირება არგამოდგა წარმატებული ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, კანადისთვის და ინგლისისთვის. ამის მიზეზია შემდეგია: პირველი ის, რომ მონეტარული თარგეთირება არ იყო სერიოზულად აღქმული, რამაც წარმატებაში ხელი შეუშალა. ასევე მეორე ფაქტორია ურტიერთკავშირი არასტაბილური მონეტარული აგრეგატი და ცვლადი სამიზნე, რამაც განაპირობა

პოლიტიკის კრაზი. სამივე ქვეყანამ შეწყვიტა მონეტარული თარგეთირების რეჟიმის გამოყენება.

## თავი III - საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობა Covid-19 პანდემიის პირობებში

### 3.1 საქართველოს კომერციული ბანკების ფინანსური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი პანდემიის ფონზე და კონცენტრაციის დონე

განვიხილოთ ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით ოთხი ბანკის საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი და ბაზის ბანკი 2019 და 2020 წლის მონაცემები. კაპიტალის მოცულობა; მოგება; აქტივების ხარისხი; ლიკვიდობა;<sup>20</sup>

ცხრილი 5

#### საზედამხედველო კაპიტალი

საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)	წელი	საქართველოს ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები	თიბისი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები	ბაზისბანკის 2019/ 2020 წლის მონაცემები	ლიბერთი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები
ძირითადი პირველადი კაპიტალი	2019	1,600,800,836	1,871,891,896	229,020,833	215,359,099
	2020	1,661,530,110	1,911,233,103	232,115,414	196,387,103
პირველადი კაპიტალი	2019	1,887,570,836	2,281,706,396	229,020,833	219,924,483
	2020	1,989,190,110	2,385,180,903	232,115,414	200,952,487
საზედამხედველო კაპიტალი	2019	2,503,683,628	2,974,028,760	258,633,011	330,141,000
	2020	2,819,334,735		265,483,868	306,902,021

<sup>20</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=672> ეროვნული ბანკი, პილარ-3-ის კვარტალური ანგარიშგება, საქართველოს ბანკი, ცხრილი მოდიფიცირებულია ავტორის მიერ, ხელ: 20.06.2021

		3,137,911,885		
--	--	---------------	--	--

წყარო: ეროვნული ბანკი

საზედამხედველო კაპიტალი მნიშვნელოვანია საბანკო სექტორის მდგრადობის შესანარჩუნებლად, რათა ფინანსური დანაკარგების დროს, ბანკმა უზრუნველოყოს მენაბრეების თანხების დაბრუნება, ასევე აქციონერების თანხის ნაწილის დაბრუნება.

პირველადი კაპიტალი შედგება საზედამხედველო კაპიტალის 50% ისა და ძირითადი წყაროა საზედამხედველო კაპიტალის. მასში შედის

- ჩვეულებრივი აქციები;
- აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები;
- სარეზერვო ფონდი;
- წინა წლების გაუნაწილებელი მოგება;

ცხრილ 5 ში მოცემულია მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში არსებული კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა მაღალია და ყოველწლიურად იზრდება, გარდა ლიბერთი ბანკისა. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომერციული ბანკები არიან კრიზისისადმი მდგრადები.

## ცხრილი 6

### კაპიტალის კოეფიციენტები

კაპიტალის კოეფიციენტები	საქართველოს ბანკი 2019/ 2020 წლის მონაცემები	თიბისი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები	ბაზისბანკის 2019/ 2020 წლის მონაცემები	ლიბერთი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი >=7.37040581172962%	11.54%	12%	16.84%	11.95%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი >=9.16303838733498%	10.36%	10.44%	15.28%	8.82%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	13.61%	15%	16.84%	12.20%
	12.40%	13.03%	15.28%	9.02%
	18.05%	19%	19.02%	18.31%
	17.58%	17.15%	17.47%	13.78%

>=13.7549152878975%			
---------------------	--	--	--

მიუხედავად კაპიტალის მოცულობის ზრდისა, კაპიტალის კოეფიციენტი შემცირებულია ოთხივე ბანკში, რაც გამოწვია პანდემიის დროს წარმოშობილმა კრიზისმა. თუმცა მისი ნორმა აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნილ სტანდარტებს. რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული კომერციული ბანკები ინარჩუნებენ სტაბილურობას კრიზისის დროსაც. ლიბერთი ბანკიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმას, თუმცა მისი მონაცემი ზღვარზეა, რაც ჩემი აზრით საყურადღებოა.

**ცხრილი 7**

*2019 და 2020 წლის მოგება*

მოგება	წელი	საქართველოს ბანკი 2019/2020 წლის მონაცემები	თიბისი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები	ბაზისბანკის 2019/2020 წლის მონაცემები	ლიბერთი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	2019	8.60%	8%	7.46%	13.43%
	2020	7.77%	7.51%	6.99%	11.44%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	2019	4.14%	4%	3.72%	5.25%
	2020	4.38%	4.26%	3.92%	5.30%
საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	2019	3.83%	4%	2.38%	2.83%
	2020	2.61%	1.59%	1.93%	0.96%
წმინდა საპროცენტო მარჟა	2019	4.47%	4%	3.74%	8.19%
	2020	3.40%	3.25%	3.06%	6.14%

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	2019	2.59%	2%	1.66%	1.35%
	2020	0.31%	0.63%	0.35%	-0.60%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	2019	24.71%	20%	10.98%	9.34%
	2020	3.42%	6.08%	2.54%	-5.26%

წყარო: ეროვნული ბანკი

ყველა კომერციული ბანკის მთავარი და საბოლოო მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება. ცხრილში ვხედავთ, რომ მომგებიანობის კოეფიციენტის მიხედვით მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან შემცირებულია 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ოთხივე ბანკში, მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან კი მცირედით გაიზარდა ასევე ოთხივე ბანკში. ასევე შემცირებულია საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან და წმინდა საპროცენტო მარჟაც ხოლო რაც შეეხება ROA (1 წლის წმ. მოგება / საშუალო წლიურ აქტივებთან) აღნიშნავს აქტივების შემოსავლიანობას ანუ როცა დადებით დინამიკაშია, ნიშნავს, რომ აქტივები რაციონალურად გამოიყენება, და ROE (1 წლის წმ. მოგება / საშუალო წლიურ სააქციო კაპიტალთან) განსაზღვრავს საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობას, იყენებენ ბანკის შემოსავლიანობის განსაზღვრისათვის. როგორც ჩანს ცხრილში 7 ში მათი მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირებულია, ხოლო ლიბერთი ბანკი მინუსში გავიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ წინა წელთან შედარებით დაბალი მომგებიანობა აქვთ ბანკებს.

## ცხრილი 8

### აქტივების ხარისხი

აქტივების ხარისხი	საქართველოს ბანკი 2019/ 2020 წლის მონაცემები	თიბისი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები	ბაზისბანკის 2019/ 2020 წლის მონაცემები	ლიბერთი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	3.56%	3%	3.88%	5.04%
	8.35%	7.66%	7.66%	6.19%

სშდრ / მთლიან სესხებთან	3.46%	4%	3.86%	6.63%
	5.83%	6.20%	5.67%	7.03%
უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	55.82%	59%	55.87%	24.59%
	56.66%	59.41%	55.47%	23.23%
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	53.12%	53%	54.52%	31.23%
	54.66%	55.06%	48.95%	33.75%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	25.30%	22%	9.00%	19.13%
	19.40%	18.20%	9.55%	34.83%

წყარო: ეროვნული ბანკი

აქტივების ხარისხი კომერციული ბანკითვის უმნიშვნელოვანესია, აქტივების ეფექტიანად სამართავად. აქტივების ხარისხის კოეფიციენტი გაზრდილია 2020 წელში 2019 წელთან შედარებით, რაც ნიშნავს, რომ პრობლემური სესხების მოცულობა გაზრდილია. უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან სამ ბანკში ორჯერ გაზრდილია, ლიბერთი ბანკში კი ერთი ერთეულით არის მომატებული, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ წინა წელშიც საკმაოდ მაღალი იყო აღნიშნული კოეფიციენტი. . სშდრ / მთლიან სესხებთან უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან აღნიშნული კოეფიციენტი თითქმის უცვლელია 2020 წელსაც, რაც ძალიან კარგია, ეს იმას ნიშნავს რომ ლარის სესხებზე მოთხოვნა მეტი, ვიდრე დოლარის სესხზე. რაც შეეხება მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპის საგრძნობლად შემცირებულია ყველა ბანკში გარდა ბაზისბანკისა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2020 წელს სესხებზე მოთხოვნა შემცირებული იყო.

## ცხრილი 9

### კომერციული ბანკების ლიკვიდობა

ლიკვიდობა	საქართველოს ბანკი 2019/ 2020 წლის მონაცემები	თიბისი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები	ბაზისბანკის 2019/ 2020 წლის მონაცემები	ლიბერთი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	20.74%	17%	28.87%	26.47%
	20.93%	19.91%	29.53%	33.96%
უცხოური ვალუტით არსებული	60.46%	63%	65.08%	34.31%

ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	60.58%	63.11%	56.79%	40.77%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	29.14%	37%	22.04%	41.36%
	29.05%	35.64%	24.49%	44.29%

წყარო: ეროვნული ბანკი

**ლიკვიდობა** - ბანკის უნარი, აქტივების ხარჯზე დაფაროს ვალდებულებები მათი ვალდებულების შემცირების დადგომისას; ლიკვიდობის მაჩვენებლები როგორც ვხედავთ იზრდება და 2020 წლის მონაცემები მეტია 2019 წელთან შედარებით, შედეგად, დავასკვნათ, აღნიშნულ ბანკებს გრძელვადიან პერიოდში შეუძლია დაფაროს მის წინაშე არსებული ვალდებულებები, რადგან აღნიშნული ბანკები საგრძნობლად მაღალლიკვიდურია.

## ცხრილი 10

### ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ***	საქართველოს ბანკი 2019/ 2020 წლის მონაცემები	თიბისი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები	ბაზისბანკის 2019/ 2020 წლის მონაცემები	ლიბერთი ბანკის 2019/2020 წლის მონაცემები
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	3,478,158,940	3,845,188,448	465,115,399	724,438,720
	4,724,925,985	4,101,094,758	486,317,739	1,034,394,124
ფულის წმინდა გადინება (სულ)	2,715,337,112	2,864,558,717	212,250,100	442,132,789
	3,411,193,233	3,218,154,429	221,915,531	638,901,245
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	128.09%	134%	219%	163.85%
	138.51%	127.44%	219%	161.90%

წყარო: ეროვნული ბანკი

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის - მიზანია მთლიანი წმინდა ფულადი გადინება დააკმაყოფილოს ეკონომიკური კრიზისის და ფინანსური სტრესის

დროს. სწორედ ამიტომ ეროვნული ბანკის მოთხოვნაა, ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი შეინარჩუნოს კომერციულმა ბანკმა. ცხრილ 10 ში ნათლად ჩანს, რომ ოთხივე ბანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია, ანუ ოთხივე მათგანს შეუძლია გაუმკვლავდეს კრიზისს. გვევლინებიან როგორც სანდო ბანკები, რომლებსაც შეუძლიათ გაისტუმროთ მათ წინაშე არსებული ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ფულის წმინდა გადინებამ მოიმატა 2020 წელს, ასევე მოიმატა მაღალი ხარისხის ლიკვიდურმა აქტივებმა, შესაბამისად ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტიც შენარჩუნდა მაღალი.

## ცხრილი 11

*კომერციული ბანკების საბალანსო უწყისი და მოგება/ზარალის ანგარიშგება.*

	წელი	საქართველოს ბანკი	თიბისი ბანკი	ბაზის ბანკი	ლიბერთი ბანკი
მთლიანი აქტივი	2019	17,139,080,625	18,032,113,318	1,665,123,994	2,144,192,712
	2020	20,221,951,741	21,727,528,822	2,006,267,655	2,981,966,362
მთლიანი ვალდებულებები	2019	15,427,340,742	15,889,011,254	1,424,557,215	1,840,626,554
	2020	18,350,863,185	19,558,008,519	1,759,728,527	2,696,503,303
სულ სააქციო კაპიტალი	2019	1,711,739,883	2,143,102,064	240,566,780	303,566,158
	2020	1,871,088,556	2,169,520,303	246,539,128	285,463,060
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები	2019	1,296,779,254	1,296,822,790	111,560,953	266,409,744
	2020	1,413,541,137	1,467,750,501	119,053,817	287,420,765
მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები	2019	320,203,186	23,467,930	9,731,257	36,180,872
	2020	332,718,807	19,839,369	8,521,883	35,801,278
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	2019	411850308	149,986,935	4,041,200	23,259,771
	2020	411850308	458,907,080	23,533,852	50,138,154
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	2019	(97,108,350)	(47,662,822)	(19,503,380)	(110,780,724)
	2020	(89,460,593)	(11,023,957)	(19,466,591)	(118,830,564)
წმინდა მოგება	2019	390,435,262	392,114,132	24,830,002	26,832,117
	2020	54,108,880	123,180,649	5,972,349	(15,173,231)



საერთო ჯამში, აქტივების რაოდენობა გაიზარდა ოთხივე ბანკში, თუმცა ვალდებულებებმაც მოიმატა, რაც შეეხება კაპიტალს, მცირედით იზრდება, საქართველოს ბანკში, თბისი ბანკში და ბაზის ბანკში, ხოლო ლიბერთი ბანკში შემცირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აქტივებმა მოიმატა ვალდებულების ხარჯზე. მთლიანი საპროცენტო შემოსავლები გაიზარდა ყველა ბანკში 2020 წელს 2019 წელთან შედარებით, თუმცა მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები მხოლოდ საქართველოს ბანკში გაიზარდა, ხოლო დანარჩენ ბანკებში შემცირებულია. წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი მინუსში იყო 2019 წელს და 2020 წელსაც მინუსშია და რაც მთავარია წმინდა მოგება, 2020 წელს შემცირებულია ყველა ბანკში, საქართველოს ბანკში 7 ჯერ შემცირებულია, წინა წელთან შედარებით, თბისი ბანკში 3 ჯერ შემცირებულია, ბაზისბანკში 5 ჯერ შემცირებულია, ხოლო ლიბერთი ბანკი 15,173,231 ლარით მინუსში გავიდა. რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია ერთ-ერთი მსხვილი ბანკისთვის.

**საკრედიტო ბაზრის კონცენტრაციის დონეზე კომერციული ბანკების ჭრილში,**

ეს ის თემაა, რომელსაც კომერციული ბანკების განხილვის დროს გვერდს ვერ ავუვლით. მის გამოსათვლელად იყენებენ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს, რომლის მიხედვითაც შესაბამისი ბაზარი შესაძლებელია იყოს:

- დაბალკონცენტრირებული -  $HHI < 1250$ ;
- ზომიერად კონცენტრირებული -  $1250 < HHI < 2250$ ;
- მაღალკონცენტრირებული -  $HHI > 2250$

ის გამოითვლება როგორც - ბაზარზე მოქმედი ყველა კომერციული ბანკის წილთა კვადრატების ჯამი.<sup>21</sup>

**ცხრილი 12**

*საქართველოში არსებული 15 კომერციული ბანკის მთლიანი აქტივი*

<b>მთლიანი აქტივები (ათასი ლარი)</b>	<b>ბაზრის პროცენტული წილი</b>
--------------------------------------	-------------------------------

<sup>21</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ბრძანება N30/09-3, ქ.თბილისი, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, ხელ: 22.07.2021

კომერციული ბანკი	2020 წელი, IV კვარტალი	%
თიბისი ბანკი	21,727,528,822	38.40%
საქართველოს ბანკი	20,221,951,741	35.74%
ლიბერთი ბანკი	2,981,966,362	5.27%
ვითიბი ბანკი ჯორჯია	2,047,322,037	3.62%
პროკრედიტ ბანკი	1,896,793,723	3.55%
ბაზის ბანკი	2,006,267,655	3.55%
ქართუ ბანკი	1,406,277,389	2.49%
კრედიტ ბანკი	1,395,024,280	2.47%
ტერა ბანკი	1,263,721,338	2.23%
ზირაათ ბანკი საქართველო	128,766,277	0.23%
ხალიქ ბანკი საქართველო	635,233,527	1.12%
პაშა ბანკში საქართველო	469,857,867	0.83%
იმ ბანკი საქართველო	37,587,261	0.07%
სილქ როუდ ბანკი	79,660,640	0.14%
ფინკა ბანკი საქართველო	283,236,646	0.50%
საბანკო სექტორის მთლიანი კაპიტალიზაცია	56,581,195,565	100%

კონცენტრაციის დონე 15 კომერციული ბანკის შემთხვევაში.

$$HHI=38,4^2+35,74^2+5,27^2+3,62^2+3,55^2+3,55^2+2,49^2+2,47^2+2,23^2+0,23^2+1,12^2+0,83^2+0,07^2+0,14^2+0,5^2=2837,53$$

როდესაც კონცენტრაციის დონე მაღალია, ეს ცუდია, რადგანაც ნიშნავს, რომ საბანკო სექტორიზე დომინანტი ბანკებია, სადაც თანაბარი კონკურენცია იკარგება სხვა ბანკებისთვის. ანუ დომინანტ ბანკებს მოგება ბევრად მაღალი აქვს კონკურენცია კი მათთვის დაბალია.

*HHI>2250 შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში კომერციული ბანკების კონცენტრაციის დონე საგრძნობლად მაღალია.*

უმსხვილესი 3 ბანკის მთლიანი ბაზრის მოცულობა კი შეადგენს - CR3= 79,41 %.  
შემავალი ბანკებია: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი.

### 3.2 Covid-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევისათვის მიღებული შედეგები საბანკო სექტორში (პრაქტიკული შედეგები)

2019 წლის გამოწვევა, რომელიც დღემდე გრძელდება არის პანდემია Covid-19, 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19 პანდემიად გამოაცხადა. ვირუსი, რომელიც მთელს მსოფლიოს ერთნაირად შეეხო. ყველა ქვეყანა იდენტური რეგულაციებით ცდილობდა ვირუსის დამარცხებას და ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნებას. გამონაკლისი რა თქმა უნდა არც საქართველო აღმოჩნდა. შეზღუდვები პირდაპირ აისახა ეკონომიკაზე, გამომდინარე იქედან, რომ არაერთ ბიზნესს მოუწია დახურვა თვეების მანძილზე, ან შეზღუდული უფლებებით ამუშავება. მთავარი შეზღუდვა იყო შემდეგი:

- 1) სოციალური დისტანცია;
- 2) სამედიცინო პირბადის გამოყენება;
- 3) ხელების დეზინფექცია;
- 4) აიკრძალა შეკრებები;
- 5) დაიხურა საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
- 6) დაიკეტა ყველა ობიექტი გარდა სურსათისა და სამედიცინო დაწესებულებებისა.
- 7) აიკრძალა ქვეყნებს შორის მიმოსვლა.


სოციალური დისტანცია, რთული აღმოჩნდა საზოგადოებისათვის, გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიო არ იყო გლობალური პანდემიისათვის მზად, სამედიცინო პირბადის დეფიციტიც კი შეიქმა, ფასმა კი 15 ჯერ მოიმატა რეალურ ღირებულებაზე, მოთხოვნის ზრდისა და რაოდენობის შეზღუდვის გამო, ასევე აღმოჩნდა სადუზინფექციო ხსნარებიც, მსოფლიოს არცერთი ქვეყნის საავადმყოფოში არ აღმოჩნდა საჭირო რაოდენობ ის ჟანგბადის სასუნთქი აპარატი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკრძალვის შემდეგ, ბევრი თანამშრომელი ვერ ახერხებდა სამუშაო ადგილზე გამოცხადებას, რის გამოც მოუწია წყვეტა სამსახურში, ზოგიერთი კომპანია ახერხებდა ხელფასის ანაზღაურებას მაინც, თუმცა მსგავსი კომპანია ძალიან მცირე იყო და ძირითადად მაინც ბანკები, სხვა კერძო ბიზნეს სექტორები ვერ ახერხებდნენ ხელფასის გადახდას. ასევე გარდა ტრანსპორტისა, თითქმის ყველა ბიზნეს ობიექტი დაიხურა: ბაღები, სკოლები, მოსამზადებელი ჯგუფები, რესტორნები, კაფე, სასტუმროები, მოლები, მაღაზიები, მუშაობდა მხოლოდ კვების და სამედიცინო ობიექტები. ქვეყნებს შორის მიმოსვლის ჩაკეტვამ კი ტურიზმი სრულიად უმუშევარი დატოვა, მოგეხსენებათ ბოლო წლებში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც მშპ-ს დაახლოებით 11%-ს აგენერირებს.

### ცხრილი 13

*დიაგრამაზე წარმოდგენილია 2019 წლის 2020 წლის ვიზიტორთა რაოდენობა*

*საქართველოში.<sup>22</sup>*

<sup>22</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური . 15/07/2021



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა, რათა შეენარჩუნებია კომერციული ბანკის მდგრადობა COVID-19-ის პანდემიის კრიზისის დროს. რითაც შეარბილა საფინანსო სექტორზე უარყოფითი ზეგავლენა და ქვეყნის ეკონომიკა წაახალისა.

- ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსთვის ლიკვიდური ფულადი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება,
- დროებითი საზედამხედველო გეგმის შემუშავება,
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ის) პროგრამის გაფართოება
- სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმის ამოქმედება.

**ლიკვიდური სახსრების მიწოდება** - 2020 წლის 1-ლი ივნისიდან ეროვნულმა ბანკმა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების ხელშეწყობისთვის ამოქმედა სვოპ ოპერაციები, რითაც სისტემას აწვდის ლარის ლიკვიდობას. მისი მიზანია ლიკვიდობის რისკი არ გახდეს ეკონომიკის დაკრედიტების შემაფერხებელი ფაქტორი. ბანკებს შეუძლიათ ლარის ლიკვიდობის მართვისთვის უცხოური ვალუტის ბუფერები გამოიყენონ და ჯამური ლიკვიდობის მოთხოვნა მათი საშუალებით დაიცვან. აღნიშნული კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს დაბალი დანახარჯებითა და დამატებითი რისკების აღების გარეშე მიიღოს ლარის რესურსი, უცხოური ვალუტის

უზრუნველყოფის საშუალებით. საჭიროებისამებრ, ბანკები ლარის რესურსს სვობ ოპერაციების გამოყენებით მიიღებენ.

**დროებითი საზედამხედველო გეგმა** გულისხმობს საბანკო სექტორის კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების გამოყენებას ფინანსური სტრესის პერიოდში. ეს ნიშნავს არსებული კაპიტალისა და ლიკვიდობის მოთხოვნების შემცირებას, რაც საბანკო სექტორს საშუალებს მისცემს ამ ბუფერების საშუალებით პოტენციური ზარალები გაანეიტრალოს და განაგრძოს ნორმალური ბიზნესსაქმიანობა და რეალური ეკონომიკის დაკრედიტება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში არსებულ კომერციულ ბანკებს, გააჩნია კაპიტალისა და ლიკვიდობის საკმარისი ბუფერი. რაც ეროვნული ბანკის საზედამხედველო პოლიტიკის შედეგია. შესაბამისად თამამად შეგვიძლია საბანკო სექტორს ჯანსაღი ვუწოდოთ.

**სავალუტო ბაზრის** უცხოური ვალუტით მიწოდების მხარდასაჭერად 2020 წელს ეროვნულმა ბანკმა 26 სავალუტო აუქციონზე, საერთო ჯამში, 873.222 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. წესებზე დაფუძნებული ინტერვენციების გათვალისწინებით, მთლიანობაში, 2020 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა 916.1 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. 2021 წელს ჩატარდა შვიდი აუქციონი და სებ-მა ბაზარს 242.9 მლნ აშშ დოლარი მიაწოდა. რაც მოახერხა წინა წლებში რეზერვების დაგროვების შედეგად. ამ ეტაპზე მთლიანი სავალუტო რეზერვები, 3.5 მილიარდ დოლარს შეადგენს

**საზედამხედველო ღონისძიებები** - კომერციულ ბანკებს შეუმსუბუქდათ კაპიტალის მოთხოვნები, რაც გულისხმობს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2,5%-ის ოდენობით) და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3) გაუქმებას. აღნიშნული საბანკო სექტორს 1,6 მილიარდი ლარის ოდენობის კაპიტალს გამოუთავისუფლებს, რაც შეიძლება მიიმართოს პოტენციური ზარალების გასანეიტრალებლად ან ეკონომიკის 16 მილიარდი ლარით დასაკრედიტებლად.

- "რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება" 1 წლით გადაავადდა;

- უძრავი ქონების შეფასება, შესაძლებელი გახდა ადგილზე ვიზიტის გარეშე;
- ფინანსური უწყისების განახლებასთან დაკავშირებითაც შერბილდა მოთხოვნა;
- ეკონომიკური ლიმიტების (კოეფიციენტების) დარღვევასაც ეროვნული ბანკი აღარ გამოიყენებს საჯარიმო სანქციებს;

ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში შემოსულ ბანკნოტებს საცავში რამდენიმე კვირის განმავლობაში აყოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ არ არის დამტკიცებული ვირუსის გავრცელება ფულის გზით.<sup>23</sup>

სესხების გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად, საბანკო სექტორი იძულებული გახდა შეღავათები დაეწესებიათ მსესხებლებისათვის, როგორც ბიზნეს სესხებზე (იურიდიული პირი), ასევე სამომხმარებლო (ფიზიკური პირი) რათა გადახდისუნარიანობა შეენარჩუნებიათ. პირველი შეღავათი იყო ავტომატური 3 თვიანი საშეღავათო პერიოდი ყველა მსესხებლისათვის, თუმცა დარიცხული პროცენტი ნაწილდებოდა შემდეგ სამ თვეზე. მათთვის ვისაც შემოსავალი შეუჩერდა აუცილებელი იყო შეღავათის დაწესება, საერთო ჯამში გადავადებამ გააძვირა სესხები. პანდემია არ დასრულდა სამ თვემ და პრობლემაც ვერ მოგვარდა, შესაბამისად მსესხებლების დიდი ნაწილი ისევ ვერ ახერხებდნენ შენატანის გადახდას, საქართველოს ბანკმა და თიბისი ბანკმა მოახერხე +3 თვიანი საშეღავათო პერიოდი დაემატებია, თუმცა პატარა ბანკებისთვის ეს მეტად რთული აღმოჩნდა, ამიტომ ყველა სესხს ინდივიდუალურად უყურებდნენ. როგორც უკვე ავლინებთ მაინც ყველაზე რთული აღმოჩნდა ტურიზმის სფეროზე. მოგეხსენებათ აჭარა ტურისტულად აქტიური არის ძირითადად მაისიდან აგვისტოს ბოლომდე. ბიზნეს სექტორს, ვისაც ბანკიდან სესხი ჰქონდათ აღებული, ულუფა ეკუთვნოდან მთლიანი წლის დარიცხული % ის ჩათვლით მხოლოდ აგვისტოსა და სექტემბერში, სასტუმროების

<sup>23</sup> <https://nbg.gov.ge/page/covid-19> საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID -19 თან დაკავშირებით.

99%-მა ვერ შეძლო ულუფის გადახდა, შესაბამისად მოუწიათ % ის კაპიტალიზაცია და წლიური საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, რაც ძალიან აზარალებს სასტუმროს მეპატრონეებს.

მაგალითად: თუ ქონდა კლიენტს 100 000 დოლარი გამოტანილი წლიურ 6 % ში , 1 წლის დარიცხული % 6000 დოლარი იქნება. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის შენატანს და უკეთდება რესტრუქტურიზაცია სესხზე, ძირ თანხას 100 000 დოლარს + 6 000 დოლარი დარიცხული % + ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) + გაცემის საკომისიო (მოთხოვნის შესაბამისად) = გადის ახალ სესხად რესტრუქტურიზაციის სახელით. ვთქვათ ბანკმა გაუკეთა შეღავათი და არ დაარიცხა არც ჯარიმა, არც საკომისიო ამ შემთხვევაშიც ძირს + დარიცხული % ის კაპიტალიზაცია ხდება და რესტრუქტურიზაციის შემდეგ უკვე 106 000 დოლარს დაერიცხება პროცენტი, შესაბამისად 1 წლის დარიცხული % უკვე იქნება 6360 დოლარი 6000 დოლარის ნაცვლად. ხოლო თუ მომდევნო წელსაც ვერ გადაიხდა შენატანი, რასაც სასტუმროების 80% ნამდვილად ვერ გადაიხდის, რესტრუქტურიზაცია მოხდება ანალოგიურად და უკვე  $106\ 000 + 6\ 360 = 112\ 360$  დოლარს დაერიცხება პროცენტი და იქნება 6742 დოლარი. ანუ მსესხებელმა გამოტანა თავდაპირველად 100 000 დოლარი, ხოლო 2 წლიანი კრიზისის შემდეგ ნაშთი 112 360 დოლარი გაუხდა. გარდა ამისა მე შევუნარჩუნე იგივე 6 %, თუმცა როდესაც ხდება სესხის რესტრუქტურიზაცია, ეროვნული ბანკი ძირითად შემთხვევაში ზრდის რეზერვს. რის გამოც კომერციული ბანკი უმატებს მსესხებლებს სესხის წლიურ პროცენტს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ რესტრუქტურიზაციას იყენებენ, როდესაც მსესხებელი ვერ ახერხებს ულუფის გადახდას და სურთ სესხს შეუნარჩუნონ გადახდისუნარიანობა, თუმცა როგორც აღმოჩნა ეს მიდგომა ყველა კლიენტთან ერთნაირად არ გვარდება. იმ მსესხებლებზე, რომლებსაც აქვთ ჭარბი ვალი, ან მაქსიმალურად აქვთ თანხა ათვისებული მათი შემოსავლების მიხედვით, რთულია გადავადება, მითუმეტეს თუ 2 წელი ვერ ახერხებს ვერც პროცენტის შეტანას,



რადგანაც ისედაც ჭარბვალთან სესხს ემატება რესტრუქტურის შიდად გამოწვეული ხარჯები.

**გამოკითხვა ჩავატარეთ და გამოვკითხეთ ქობულეთის საოჯახო ტიპის სასტუმროს 20 მეპატრონე.**

**1) არის თუ არა დამსვენებლები 2021 წლის ზაფხულის სეზონზე?**

სასტუმროს მხოლოდ 20-30% არის შევსებული, დანარჩენი ყველა ცარიელი ნომრებია;

**2) რომელი ქვეყნის ტურისტი სტუმრობს ქობულეთს?**

წინა წლებში მასპინძლობდნენ: რუსეთს, უკრაინას, სომხეთს, აზერბაიჯანს და სხვას. ხოლო 2021 წელს 95% არის ქართველები;

**3) რის გამო ვერ ჩამოდიან საქართველოში დამსვენებლები?**

- თვითმფრინავის ბილეთები გაძვირდა, რის გამოც ადარ უღირთ ჩამოსვლა;

- ითხოვენ კოვიდ ტესტს ორჯერ, 1 ტესტი ღირს 70 ლარი ანუ 4 ადამიანის შემთხვევაში ხარჯი ემატებათ  $70 \cdot 4 \cdot 2 = 560$  ლარი;

- პანდემიის გავრცელება. საქართველო ისევ წითელ ზონაშია, რის გამოც ჯავშნებს აუქმებენ;

- ბათუმში ფასების დაცემამ გამოიწვია მოთხოვნის ზრდა, ხოლო ქობულეთში დამსვენებლებმა იკლო ბათუმის ხარჯზე;

**4) როგორია გაქირავების ფასები წინა წელთან შედარებით?**

ნომრის ფასმა ორჯერ შემცირდა სასტუმროებში, ანუ თუ ნომერს აქირავებდა 120-140 ლარის ფარგლებში, გაქირავება 2021 წელს უწევს 60-70 ლარად ისიც თუ უცხოელი შედის ნომერში, ხოლო ქართველი ტურისტი ვერ ახერხებს გადახდას ამ თანხისასაც და ამიტომ კიდევ უწევთ ფასების დაკლება.

**5) შეძლებთ თუ არა წლებანდელი ულუფის შეტანას ბანკში, ან დარიცხულ %-ს მაინც?**

აქ უკვე აზრი ორად გაიყო. ანუ ის ნაწილი, ვინც მხოლოდ სასტუმროს შემოსავლებზეა დამოკიდებული, ვერ ახერხებს % ის შეტანასაც კი, გამომდინარე იქედან, რომ ოჯახის ხარჯის დაგროვება უწევთ. ხოლო ის ნაწილი, ვისაც

პარალელური შემოსავალი აქვს ძირითად შემთხვევაში ახერხებს თუნდაც % ის ნაწილი დაფაროს.

გამოკითხვიდან გამომდინარე, ვხვდებით, რომ 2021 წლის სეზონიც ისეთივე რთული იქნება მოსახლეობისათვის, როგორც 2020 წელი იყო, თუმცა როდესაც მსესხებელი ვერ ახერხებს შენატანს, ბანკს უწევს თავისი კაპიტალით არჩინოს თავი. ანუ ყველა საოპერაციო ხარჯი გასწიოს პერსონალის ჩათლით, რაც ძალიან დიდ თანხებთან გადის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კრიზისის დროს საბანკო სექტორის თანამშრომლები სრულად ღებულობენ ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნაწილი მუშაობდა დისტანციურად. მაგალითად თიბისი ბანკმა 2020 წლის ბოლომდე ყველა თანამშრომელს შეუნარჩუნა ადგილი ანაზღაურებით. ბაზისბანკს კი მოუწია რამოდენიმე თანამშრომლის შემცირება ხარჯების შესამცირებლად. ეს ფაქტი შეგვიძლია ჩავთვალოთ კიდევ ერთი განმასხვავებელი ფაქტორად მსხვილი და პატარა ბანკის შორის. გარდა ამისა, საქართველოს და თიბისი ბანკმა შეძლო ავტომატური გადავადება გაეკეთებია ყველა მსესხებელისთვის 6 თვის განმავლობაში, რაც პატარა ბანკისთვის რთული აღმოჩნდა, მათ გადაავადეს 3 თვე, ხოლო შემდგომ სამ თვეს ინდივიდუალურად მიუდგნენ.

## დასკვნა

საბოლოო ჯამში, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კომერციული ბანკი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისათვის. ისინი ფულადი ბრუნვის მეშვეობით, ხელს უწყობენ სხვადასხვა საქმიანობაში როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე იურიდიულ პირებსაც. აფინანსებენ სტარტაპებს, ხელს უწყობენ წარმოების განვითარებას, ასტიმულირებენ ბაზარზე ფულის მიმოქცევას ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით. თუმცა მათ საბოლოო მიზანს მაინც მოგება წარმოადგენს.

COVID 19 - ერთ ერთ დიდი დაბრკოლებად იქცა კომერციული ბანკებისათვის, თუმცა მათ შეძლეს ამ დაბრკოლების გადალახვა წარსულში განხორციელებული რეგულაციების წყალობით, რომელსაც ქვეყნის ეროვნული ბანკი ანხორციელებს.

განვიხილეთ 4 ბანკის მონაცემები, ოთხივე მათგანის ლიკვიდობის კოეფიციენტი დადებითია. პანდემიამ კომერცილ ბანკების მომგებიანობაზეც იმოქმედა. მართალია 2019 წლის მონაცემებთან შედარებით ძალიან მცირეა, მაგრამ მაინც საბოლოოდ მოგებაზე გავიდა სამი ბანკი.

მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში გამოთვლილი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მიხედვით საქართველოში მაღალი კონცენტრაციის დონე აღინიშნება, ეს ნიშნავს დაბალ კონკურენციას და დომინანტი ბანკების მიერ მაღალი მოგების მიღებას. გამოთვლილია სამი უმსხვილესი ბანკის მთლიანი ბაზრის მოცულობის წილი და დავინახეთ, რომ მათ ბაზრის 79,8% უჭირავს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ეს გვიჩვენებს, რომ საქართველოში კომერციულ ბანკებს შორის არ არის თანაბარი კონკურენცია, რაც გულისხმობს სხვა დანარჩენი ბანკებისთვის რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას, დაბალი მოგების მიღებას და საბანკო ბაზრის არათანაბარ გადანაწილებას.

ნაშრომში ხაზი გაესვა მსესხებლების ჭარბვალაიანობას, ჩვენი აზრით საჭიროა როგორც კომერციული ბანკი ახერხებს კაპიტალის მობილიზებას, რათა გაუმკვლავდეს კრიზისულ სიტუაციას, რაც ძალიან კარგად გამოუვიდა 2019 წლის პანდემიის მიერ გამოწვეული კრიზისის დროს, ასევე მსესხებლებმა არ შეიძლება აითვისოს თანხის მაქსიმალური მოცულობა, რათა შემდგომ გაუჭირდეს რესტრუქტურისაციის გაკეთება. სულ მცირე 1 წლის რესტრუქტურისაციის რეზერვი აუცილებელია ყველა გაცემულ სესხზე, რათა გადახდისუნარიანობა შევინარჩუნოთ.

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კოვიდ-19 გამოწვეული სესხების გადავადებისას, იმ მსესხებლებმა ვერ ისარგებლეს, რომლებსაც კრიზისამდე გადავადებული ჰქონდათ უკვე სესხი, აღნიშნული რატიქმაუნდა უნდა ჩაითვალოს ხარვეზად.

ასევე, კომერციული ბანკების სექტორი მდგრადი აღმოჩნდა პანდემიის პიორბებშიც, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რეგულატორის - ეროვნული ბანკის მიერ გატერებულ პოლიტიკაზეც, რომელიც ობიექტურად დამოკიდებულია ქვეყანის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. კერძოდ, სამომხმარებლო

ფასების ზრდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, მუდმივად აკორექტირებს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ მონეტარულ პოლიტიკას და შესაბამისად რეფინანსირების განაკვეთსაც. კოვიდ-19 პანდემის პერიოდში ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის ზრდასთან ერთად ეროვნულ ბანკს მოუწია რეფინანსირების განაკვეთის ზრდა, რაც ავტომატურ რეჟიმში აძვირებს სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს და აღნიშნული უარყოფითად აისახება, როგორც მსესხებლებზე, ასევე კომერციული ბაკნკების საქმიანობაზეც.

## გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე. თანამედროვე საბანკო საქმე-თეორია და პრაქტიკა, თბილისი 2014;
- 2) სტატია, საბანკო საქმის წარმოშობის ისტორია , 10/07/2021 , ავტორი: ნინო გოგუაძე <http://geoeconomics.ge/?p=12463>
- 3) სტატია საერთაშორისო ფინანსური კრიზისის გავლენა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ბანკების მუშაობაზე. ავტორი: ალექსანდრ იოანი. <http://journals.univ-danubius.ro/index.php/euroeconomica/article/view/3378/3567>
- 4) სტატია, საბანკო სექტორის სტაბილურობა საქართველოში , 10/08/2018, ავტორი: ბესო ნამჩავაძე <https://forbes.ge/ramdenad-stabiluria-saqa/>

- 5) აშშ-ს საბანკო რეგულაცია . 2021 წელი, <https://www.globallegalinsights.com/practice-areas/banking-and-finance-laws-and-regulations/usa>
- 6) საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის შესახებ, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=130> ;
- 7) საქართველოს ეროვნული ბანკი, ლიცენზირებული კომერციული ბანკები, ცხრილი12 მოდიფიცირებულია ავტორის მიერ. <https://nbg.gov.ge/page/ლიცენზირებული-კომერციული-ბანკები>
- 8) საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკის ანგარიშგება. <https://nbg.gov.ge/page/კომერციული-ბანკების-ანგარიშგებები>
- 9) საქართველოს ეროვნული ბანკი, პილარ 3 -ის ანგარიშგება. ცხრილი 5 ; ცხრილი 6; ცხრილი 7; ცხრილი8; ცხრილი9; მოდიფიცირებულია ავტორის მიერ . <https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter>
- 10) საქართველოს ეროვნული ბანკი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა. <https://nbg.gov.ge/page/ფასიანი-ქაღალდების-ბაზრის-ზედამხედველობა>
- 11) საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის მიზანი. <https://nbg.gov.ge/page/მონეტარული-პოლიტიკის-მიზანი>
- 12) საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებები <https://nbg.gov.ge/monetary-policy/committee-decisions>
- 13) საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განაკვეთი . ცხრილი #2 <https://nbg.gov.ge/page/მონეტარული-პოლიტიკის-ინსტრუმენტები>
- 14) საქართველოს ეროვნული ბანკი, ინფლაციის თარგეთირება. <https://nbg.gov.ge/page/ინფლაციის-თარგეთირება>
- 15) საქართველოს ეროვნული ბანკი, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=558> ;
- 16) საქართველოს ეროვნული ბანკი, ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=559> ;
- 17) საქართველოს ეროვნული ბანკი, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=558> ;
- 18) საქართველოს ეროვნული ბანკი, ღია ბაზრის ოპერაციები, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=557> ;
- 19) პუბლიკაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო ჩარჩო-რისკების შეფასების საერთო პროგრამა (GRAPE), [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/grape/grape\\_f.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/grape/grape_f.pdf) ;
- 20) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika>

- 21) საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID -19 თან დაკავშირებით.  
<https://nbg.gov.ge/page/covid-19>
- 22) „საბანკო რეგულირების გავლენა საბანკო კრიზისსა და კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე“ ავტორი: კლარა ლურჯაია - თავი 3,2 გვერდი 99.  
<https://ug.edu.ge/storage/disertations/October2019/WiwrCJUzL3RqOUx1vfT0.pdf>
- 23) IBM საბანკო და ფინანსური ბაზრების მონაცემები - ბაზელის შეთანხმების შესახებ.  
<https://www.ibm.com/docs/en/bfmdw/8.8?topic=accord-about-basel>
- 24) IBM საბანკო და ფინანსური ბაზრების მონაცემები - ბაზელის შეთანხმების შესახებ.  
ცხრილი 1 მოდიფიცირებულია ავტორის მიერ  
<https://www.ibm.com/docs/en/bfmdw/8.8?topic=accord-about-basel>
- 25) საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ბრძანება N30/09-3, ქ.თბილისი, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0>